დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო კაშია
წევრები:

ლევან ღურწკაია - ხარისხის ექსპერტი
ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი
თამარ ხატიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი
მარინე შანშაშვილი - უცხოური ენების ექსპერტი
თამარ თავშავაძე - ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი
მორის გუმბარიძე - ტექნოლოგიების ექსპერტი
ლელა გაბისონია - სახელმწიფო ენის ექსპერტი
მარინე ახალაია - მათემატიკის ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის ექსპერტი
ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242007430

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დაბა ჩოხატაური
იურიდიული მისამართი	ჩოხატაურის მინიციპალიტეტის სოფელი შუა ამაღლება
ფაქტობრივი მისამართი	ჩოხატაურის მინიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღილება
საფოსტო ინდექსი	4900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	SuaAmaghleba@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 97 22 29

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 23 0001065276 01.09 .2023 წელი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	18/19 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი შუა ამაღლება

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქათული ენა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი შუა ამაღლება
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი შუა ამაღლება

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე "თიმსის" სივრცეში ჯგუფისთვის შეიქმნა ვირტუალური კლასი, სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებული იქნა, როგორც სკოლის თვითშეფასების განაცხადი, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად, ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი დისციპლინის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრა დაიგეგმა ორივე სამუშაო დღეს. პირველ დღეს გაიმართა შეხვედრა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, განხილული იქნა კურიკულუმის შემუშავების საკითხები, შეჯერდა სკოლის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია, დააზუსტეს რამდენიმე მოთხოვნა და შეთანხმდნენ მეორე სამუშაო დღის შეხვედრის შინაარსობრივ დეტალებზე.მეორე დღეს ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებაში.საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა

ექსპერტმა, ვიზიტის პერიოდში ადგილზეპედაგოგებთან უშუალო შეხვედრის დროს განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო, ლაბორატორიები და გაესაუბრასაგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

ვიზიტის თითოეული დღის ბოლოს ექსპერტებმა შეაჯამეს და ინფორმაცია მიაწოდეს სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შუა ამაღლების საჯარო სკოლის შენობა არის ახალი აგებული, კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ადაპტირებული გარემო, სარეკრეაციო ზონები, საერთო სარგებლობის სივრცეები,ბიბილიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი,ლაბორატორიები, სრულად აღჭურვილი სპორტული დარბაზი, მწვანე ნარგავებით გალამაზებული ეზო მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის. სკოლის ინფრასტრუქტურული გარემო თემის საჭიროებებსა და გამოწვევებსაც აკმაყოფილება- საინტერესო შეხვედრები, ღონისძიებები- სოფლის კულტურული ცხოვრების ნაწილია, რის შედეგადაც გაიზარდა სკოლის ფუნქციური დატვირთვის მნიშვნელობა. შუა ამაღლების სკოლა გამოირჩევა არაფორმალური

განათლების განვითარების მხრივ. სკოლის შესასვლელშივე ყურადრებას იპყრობს „Mac Georgia“ ბანერი -მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის . ორგანიზაცია მხარს უჭერს სხვადასხვა სასკოლო საგანმანათლებლო პროექტებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---129----------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა **საბაზო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა **საშუალო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N.		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში	სკოლამ 2024 წლის 1 სექტემბერს უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთოების დასკვნის მოპოვება.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	
		•
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.... ინდიკატორი N.4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	*სასურველია სკოლამ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის შეფასების მიზნით შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუმენტები/მექანიზმები*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი)**	*რჩევა*
ინდიკატორი. N2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	*(ესთეტიკის კათედრა) მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მიდგომები სსსმ მოსწავლეების მიმართ და მათთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ესთეტიკის კათედრას არ წარმოუდგენია სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. საურველია სკოლამ წარმოადგინოს ესთეტიკის საგნებში კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვარიანტები სსსმ მოსწავლეებისთვის.*
N2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	*ესთეტიკის კათედრამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა ხელოვნების საგნის ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. ასევე წარმოდგენილია 1-IV კლასების შეფასების რუბრიკა, რომლის გამოყენება ყველა საგნისთვის იგეგმება. მუსიკის შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ რუბრიკების მნიშვნელოვანი გადამუშავება (უნდა დარჩეს ერთი სამიზნე ცნება, დაემატოს ქვეცნებები და ა.შ). ამავე დროს მუსიკაში უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები მე-5 და მე-6 კლასებისთვის.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)**	*რჩევა*
N.2.2.1.4.	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);	*რუსულ ენაში 8-9 კლასის კურიკულუმებში სასწავლო პროცესი გაწერილია მხოლოდ თემებისა და ქვეთემების სახით. კათედრას ეძლევა რეკომენდაცია, შუალედურ სასწავლო მიზნებად შეიმუშაოს და განახორციელოს კომპლექსური ტიპის დავალებები სხვადასხვა თემის ფარგლებში.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

- *სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია 3.1.2.3 ინდიკატორთან* „პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით“- *დაკავშირებით.* 2020 წლის ივნისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების პირადი საქმეები შეივსო შემდეგი ცნობებით: ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა სქესობრივი ძალადობის შესახებ; ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები.
- სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია 3.4.1.1 ინდიკატორთან „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“ დაკავშირებით . წარმიადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული(21.11. 2023) შესაბამისობის გეგმაში გაწერა, რომ 2014 წლის 1 სექტემბერს სკოლას ექნება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

- სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 3.6.3.1 / 3.6.3.4. /3.6.3.5 ინდიკატორებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ვებ.გვერდის არსებობა- გამოყენება- გააქტიურებას.სკოლამ გააქტიურა საკუთარი ვებ. გვერდი- განათავსა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, სკოლაში მიმდინარეპროცესთან დაკავშირებული სიახლეები. ვებ.გვერდი გახადა ქმედითი. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა თავისი მისიით აშკარად გამოხატავს საკუთარ როლს არა მარტო სასკოლო საზოგადოების, არამედ თემის წინაშე, როგორც ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის საქმის გამგრძელებლად, რაც გამორჩეულად წარმოაჩენს სკოლის როლს. მისიაში გამოკვეთილია შემოქმედებითი უნარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მნიშვნელობა, რომელსაც სკოლა ავითარებს შესაბამის გარემოთი.

სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლას მისიითა და ხედვით, როგორც სასკოლო საზოგადოებასთან,

ისე თემთან მიმართებით მკაფიოდ აქვს განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი. იგი მოიაზრება, როგორც უძველესი კულტურული საგანმანათლებლო კერის მემკვიდრედ. პიროვნული განვითარება წარსულის პატივისცემასა და გაფრთხილებაში გამოიხატება, რომელიც უსაფრთხო გარემოში ქმნის მომავალს. სკოლის ინფრასტრუქტურა და მართვის პროცესი პიროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებაა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობდა სკოლის საზოგადოება. ჩართულობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ფორმად სკოლას შერჩეული ჰქონდა კითხვარები.
ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულება გაზიარებულია სკოლის საზოგადოების მიერ. გამოკითხვამ ცხადყო, რომ მის შემუშავებაში მონაწილეობდა მთელი გუნდი. მათ გათავისებული აქვთ ამ დოკუმენტის მნიშვნელობა სკოლის სამომავლო საქმიანობისათვის.
ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

5. ავტორიზაციის განხორციელების მომენტისთვის სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი, გამოკრული იყო სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე ატვირთული იყო სკოლების პორტალზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დაწესებული ტერმინთან, კერძოდ საქართველოსგანათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის # 448 ბრძანებასთან.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულიადასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სკოლის პორტალი
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.
- კითხვარი;

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი. ის ეყრდნობა მისიას და ხედვას. მისიაში სკოლა საკუთარ გამორჩეულობას ხაზს უსვამს უძველესი საგანმანათლებლო კერის მემკვიდრეობით. გამოკვეთილია პრიორიტეტული მიმართულებები; კონკურენციის ფაქტორი, ლიდერობა, პროფესიული, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნებით არ გამოიკვეთა სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასების მიხედვით საკითხების გაანალიზება და სამოქმედო გეგმაში გაწერა. იკვეთება თავსებადობა სტრატეგიულ გეგმასთან.

4. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია გეგმის შესრულების გაზომავდი მექანიზმები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. სამოქმედო გეგმის პროექტს სჭირდება მეტი თავსებადობა სტრატეგიული გეგმის პროექტთან.
ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მტკიცებულებები -
1. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
2. 2023-30 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
3 . 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
4. ზეპირი ინტერვიუ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

5. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

1 სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
სკოლას აქვს სტრატეგიული განვითრების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ნათლად არის გაწერილი მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი.
ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. სკოლას აქვს მონიტორინგის გარკვეული გამოცდილება. მაგრამ დეტალურად გაწერილი მონიტორინგის მექანიზმი წინაწლებში სკოლას არ ჰქონდა.
7-წლიანი სტრატეგიული გეგმა არის ახალი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცდა, ამდენად, მონიტორინგს განახორციელებენ ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან. მონიტორინგის მკაფიო

მექანიზმები მეთოდოლოგიის ახალ დოკუმენტში გაწერილი აქვთ, რაც ქმნის სრულ შთაბეჭდილებას, რომ სკოლა შეძლებს მონიტორინგის განხორციელებას.
ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.
3. სკოლა აღნიშნავს, რომ სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგებზე ყოველი წლის 10 დეკემბერს აკეთებს ზეპირ და წერილობით ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე. რომელშიც ძირთადი აქცენტი გაკეთებულია სასწავლო პროცესზე. სკოლა ანგარიშებს პერიოდულად ათავსებს საინფორმაციო დაფაზე, რათა დაიცვას დაინტერესებული პირებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომობა. სკოლას დაწყებული აქვს ვებ გვერდზე მუშაობა, სადაც განათავსებს ყველა საჯარო ინფორმაციას კანონმდებლობის სრული დაცვით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დირექტორისა და კათედრების ანგარიშებში ჩანს, რომ სკოლა აკეთებს წინა წლის შეფასებას და შედეგებს ითვალისწინებს მომდევნო წლისათვის. სკოლას დღესდღეობით სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი აქვს მონიტორინგი და შეფასება, რომლის დანერგვასაც დაიწყებს ახალი სასწავლო წლიდან.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- 2023-30 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- თვითშეფასების განაცხადი.

• ზეპირი ინტერვიუ

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლაში ფუნქციონიებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი ჯგუფის კათედრები (5 კათედრა) და მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებულ პირთა ფუნქციები (თანამდებობრივი ინსტრუქციები) მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლის მიერ შემნილ დოკუმენტში.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლაში ყველა დასაქმებულის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს

უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სკოლის შინაგანაწესი
- ზეპირი ინტერვიუ

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფექტურია და უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას. განვითარების პროცესის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია კარიერული წინსვლის, სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ინოვაციების წახალისება. სკოლა თითოეული თანამშრომლისთვის, კანონმდებლობის შესაბამისად, აწარმოებს პირად საქმეებს. სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პერსონალის ფუნქციებისა და მართვის დოკუმენტი. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, გამოკრულია

თვალსაჩინო ადგილზე. სკოლის ყველა თანამშრომელი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას. შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო. ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ)ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის დირექტორთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სკოლა მასწავლებელთა საჭიროებას არკვევს მათს მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობების შეფასების პროცესში, გაკვეთილის განხილვის/ ანალიზის დროს. კათედრის ოქმებში ნათლად ჩანს თანამშრომლობა. სკოლა ეხმარება ახალ პერსონალს სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაციაში, კათედრის თავმჯდომარე/ წევრები კოლეგას ეხმარებიან, რათა შეძლოს სკოლის საზოგადოებასთან ინტეგრირება და პირველადი სირთულეების დაძლევა. ასევე ეხმარებიან და ხელს უწყობენ ახალბედა მასწავლებელს სწავლა- სწავლების პროცესში. სთავაზობენ საკუთარ გაკვეთილზე დასწრებას, უზიარებენ გამოცდილებას, ერთად გეგმავენ გაკვეთილებს, ესწრებიან გაკვეთილზე და აძლევენ უკუკავშირს, უზიარებენ რესურსებს და თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სკოლის დანარჩენი პერსონალის საჭიროება და მართვა გაწერილია პესონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლა საჭირო კადრის შერჩევის დროს ხელმძღვანელობს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული პერსონალის შერჩევის პოლიტიკით. იცავს საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მისისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების საფუძველზე საკონკურსო კომისიის შექმნის სავალდებულო მოთხოვნებს. სკოლაში არსებულ ვაკანტურ თანმდებობაზე პესრონალის შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით. რომელიც რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული კონკურსის ჩატარების წესით, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსის ჩატარების პროცედურები. სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო და სააპელაციო კომისია. კონკურსის გამოცხადება ხდება კანონმდებლობის

მოთხოვნათა დაცვით ელექტრონულ პორტალზე teachers job.ge საკონკურსო კომისიის შექმნის სავალდებულო მოთხოვნების დაცვა უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარების ობიექტურობასა და გამჭვირვალეობას

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის უარყოფითი შეფასება ინდიკატორთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს 2020 წლის ივნისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების პირად საქმეებში არ იყო განთავსებული ცნობა ნასამართლეობის შესახებ; ცნობა სქესობრივი ძალადობის შესახებ; ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლამაღნიშნული ხარვეზი გამოაწორა 2023 წლის 24 ნოემბერს. წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლაში დასაქმებული პერსონალის განათლება და კვალიფიკაცია მათ მიერ დაკავებული პოზიციის შესაბამისია. აღნიშნული დასტურგება სკოლაში არსებული პირადი საქმეებით - დადასტურებულია განათლების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ორგანიზაციული კულტურის ნაწილია. გუნდური მუშაობა, თანამშრომლობითი გარემო, სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობა სკოლის ძლიერი მხარეა, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემასა და კოლეგიალობზე. სკოლაში ფართოდაა დანერგილი კრიტიკული მეგობრისა და ურთიერთდასწრების პრაქტიკა. სკოლაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ხარისხის ჯგუფი.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის პედაგოგები სიახლეებსა და წარმატებას უზიარებენ ერთმანეთს კათედრის სხდომებზე. მასწავლებლები ქმნიან ჯგუფებს და მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

.....
.....
.....

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი. სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის მართვის დებულება და ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მართვის ჯგუფი, რომელიც გაწერილი პერიოდულობით ესწრება საგაკვეთილო პროცესს და აფასებს მასწავლებელთა საქმიანობას, აძლევს უკუკავშირს, შედეგებს აფორმებს ოქმების სახით. ერთად მუშაობენ კათედრები. ხარისხის ჯგუფის მუშაობას აქვს სისტემური ხასიათი, აღრიცხავენ მასწავლებლის პროგრესს, ხარისხის მართვის დეტალური პროცესები დასტურდება სკოლს საქმიანობაში. სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლას არ აქვს, მასწავლებლის გარდა, პერსონალის შეფასების მექანიზმები.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის საფუძველზეც სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ ხორციელდება პერსონალის მოზნობრივი განვითარება სამოქმედო გეგმის შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები ავსებენ თვითშეფასების ფორმას, რომლის საფუძველზეც ადგენენ განვითარების გეგმას. მასწავლებლები, გაწერილი გრაფიკის მიხედვით, ესწრებინ ერთმანეთს "კრიტიკული მეგობრის" სტატუსით. აფასებენ პროცესს წერილობითი უკუკავშირის სახით, გეგმავენ პრევენციის გზებს, იხილავენ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ და აფასებენ შედეგებს და სახავენ სამომავლო გეგმებს. ამ მუშაობაში კათედრებს კარგადდაეხმარა წლების მანძილზე მიღებული გამოცილება, ადმინისტრაციის სისტემატური ჩართულობა. დირექტორი პირადი მაგალითით ახალისებს გუნდს. გარდა მასწავლებლებისა, სხვა პერსონალის განვითარების საჭიროების ამსახველი კვლევა, ან სხვა რაიმე დამდასტურებელი მტკიცებულება ან მექანიზმი სკოლას არ წარმოუდგენია.

სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული პრატიკული საქმიანობა გაწეროს გეგმის სახით.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი მესამე თაობის ესგ-ს დანერგვისა და საბაზისო განათლების საერთაშორისო პროექტებში. სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პედაგოგებს, თვალნათლივ ჩანს კათედრათა შორის თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება.სკოლა ხელს უწყობს არამარტო მასწავლებელთა, არამედ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიულ ზრდას, სკოლა ხელს უწობს პერსონალის კარიერულ ზრდას. მასწავლებლები სისტემატურად გადიან როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობით ტრენინგ-მოდულებს, პერიოდულად აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ შესაბამის უკუკავშირს ზეპირი კომუნიკაციით. ადმინისტრაციულ - ტექნიკური პერსონალი საჭიროებისამებრ გადიან ტრენინგებს და კონსულტაციებს, ესწრებიან საინფორმაციო შეხვედრებს. რაც უზრუნველყოფს პერსონალის მუდმივ განვითარებას და პროფესიულ ზრდას.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლა ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან თანამშრომელთა ინტეგრაციას, რაც დასტურდება სამასწავლებლოს შესაბამისი აღჭურვილობით, თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით(სკოლა სრულად ადაპტირებულია).სკოლა ზრუნავს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციაზე სასკოლო გარემოში. ხორციელდება დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, სკოლა ყველანაირად ხელს უწყობს მათ ადაპტაციაში, გამოყოფს სპეციალურ პირს, რომელიც დაეხმარება ახალბედა თანამშრომელს მისთვისდავალებული საქმიანობის განხორციელებაში. მასწავლებლის შემთხვევაში ხდება კათედრებზე შეხვედრები, ერთად იგეგმება გაკვეთილები, ურთიერთდასწრება და აზრთა გაზიარება, რესურსების გაზიარება და დახმარება პირველადი სირთულეების დაძლევაში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა ინტეგრაციის მისაღები პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლა ახალისებს პერსონალის განვითარებას და წარმატებებს. უცხადებს მათ მადლობას. აღნიშნული გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა ინიციატივებს პროფესიული განვითარებისთვის, სასკოლო კონფერენციის მომზადებასა, კონფერენციებში მონაწილეობასა და პროექტებში ჩართვაში.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

რიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი

ხარისხის ჯგუფის დოკუმენტები

ზეპირი ინტერვიუ

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.
სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო სქმიანობის ხარისხის განვითარების დებულება. მუშაობს ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც გაწერილი გრაფიკის მიხედვით აკვირდება საგაკვეთილო პროცესს, ეცნობა მასწავლევლის რეფლექსიას, ახდენს შეფასებას განმავითარებელი უკუკავშირის სახით. ეცნობა მასწავლებლის სამოქმედო გეგმას, აკვირდება სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ყველა ზემოთდასახელებული აქტივობა მიმართულია სასწავლო პროცესის გააქტიურებისადმი და მასწავლებლის საქმიანობის მონიტორინგს მოიცავს. სკოლა გეგმავს გაიწეროს სკოლის ყველა თანამშრომლის საქმიანობის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც გაითვალისწინებდეს ხარისხის უზრუნველყოფას.
ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლას აქვს გასაჩივრების მექანიზმი, რომელშიც გაწერილია დეტალური პროცედურები. ასევე, სკოლის შინაგანაწესის 22- ე მუხლში ვკითხულობთ, რომ სკოლაში შემოსული ნებისმიერი განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს, მიენიჭოს შესაბამისი ნომერი, განისაზღვროს ადრესატი და მასზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. საჩივრის შემთხვევაში ერთვება სკოლის დისციპლინირი კომიტეტი, რომელიც კოლეგიალური ორგანოა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია დასაქმებულების შრომის პირობების დაცვის წესები (მუხლი 9), დასაქმებულის დისკრიმინაციის შემზღუდავი მუხლები, თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები. ასევე სკოლის შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლისინფორმირებულობის ვალდებულება (მუხლი 19, მუხლი 23)

სკოლისთანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მათი უფლებები მოვალოებები ასევე ისინი ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს,

სკოლასშექმნილიაქვს „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“, რომელშიც ასახულია გასაჩივრების წესი და უფლებების დაც ვის მექანიზმები. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი.სკოლა ზრუნავს მათ აქტიურად ჩართვაზე სასკოლო ცხოვრება ში. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტ ებში. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სასკოლო საზოგადოების უფლება მოვალეობები. რაც კიდევ უფრო დაზუსტებულია ხელ შეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. დაზუსტებულია ხელშეკრულები თ, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის.

სკოლა მუდმივად ზრუნავს მათი უფლებების დაცვაზე. დაცულია მათი უფლებები და თავისუფლებები კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგაგაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებბის დბულება და ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება.
- შინაგანაწესი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ზეპირი ინტერვიუ

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა, მართვის პროცესებთან დაკავშირებით, მუდმივად აწვდის ინფორმაციას სასკოოლო საზოგადოებას. ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირი ხორციელდება დამიგებელთა მეშვეობით და პირისპირ შეხვედრებით. ასევე აქტიურად იყენებენ სოციალური ქსელის ჩატს. სკოლა ახალ ინფორმაციას ათავსებს სკოლის სოციალურ გვერდზე. სკოლა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით მშობელთა ინფორმირებისთვის აქტიურად იყენებს ელექტრონული ჟურნალის შესაძლებლობებს. სკოლის I სართულზე არის საინფორმაციო დაფა, სადაც თავსდება ახალი ინფორმაცია, საჯაროდ გაზიარების მიზნით. სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს "თიმსის" პლატფორმასაც. გარდა ამისა, შინაგანაწესით გათვალისწინებულია მშობელთა ინფორმირება ყოველ პარასკევს, 13 საათიდან 17 საათამდე. რეგირებისა და გადაწყვეტილრბის მიღების პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების კოლეგიური ორგანო-სამეურვეო საბჭო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულში, სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოში, ა.შ. შესაბამისი წესით ჩართულია მოსწავლეთა და მშობლების წარმომადგენელები. აღნიშნული დასტურდება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- ზეპირი ინტერვიუ
- სკოლის სოციალური გვერდი
- დამრიგებლის ჟურნალები
- შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას ჰყავს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. თვალსაჩინოდ გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, სახანძრო ფარი, ცეცხლმაქრები. შენობა სრულად აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. სკოლში მხოლოდ კომპიუტერული ლაბორატორიაა აღჭურვილი ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. სკოლა სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც პასუხისმგებელია არასამუშაო საათებში სკოლის დაცვაზე. დამრიგებლების მიერ სისტემატიურად ხდება სკოლაში არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და მიზეზის მშობლეთან დადგენა სატელეფონო ზარის საშუალებით.

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაში ჩართულია სკოლის საზოგადოება. შემუშავებულია მორიგეობის განრიგი, სკოლის სივრცეში გადაადგილებას აკონტროლებს მორიგე. სკოლის მისაღებში გამოყოფილია პირი, რომელიც სარეგისტრაციო ჟურნალში ატარებს ვიზიტორთა მონაცემებს.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება უფლებამოსილ ორგანოსთან შესათანხმებელი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებით. ხარვეზის აღმოსაფხვრელად გადადგნა ქმედითი ნაბიჯები და წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებელი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას დათარიღებული 2023 წლის 24 ნოემბრით

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა დრო, რომელიც დასჭირდება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად - 2024 წლის 1 სექტემბერი.

სკოლის შენობა 2017 წელს არის აგებული და სრულად ადაპტირებული, შესაბამისად 2017 წლის 22 დეკემბერს გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობის მდგრადობის დასკვნა, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული (სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო).

სკოლას, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება. თვალსაჩინო ადგილზე აქვს გამოკრული ცხელი ხაზის ნომერი "112".

სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით, მედიკამენტებით და სხვა საშუალებებით. ექიმის კაბინეტში არის მოძრავი შირმა/კედელი, რომელიც უზრუნველყოფს გასინჯვის პრივატულობას. პირველადი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს სკოლის ექიმი.

3.4.1.1.ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას არ აქვს შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესები. სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფს ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, კლასის დამრიგებლები და მორიგე მასწავლებლები. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით და კონტროლდება მოსწავლეთა ეზოდან გადასვლა, ასევე უცხო პირების შემოსვლა სკოლის ტერიტორიაზე სკოლას ჰყავს დარაჯი. სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები სართულების მიხედვით, სართულებზე გამოკრულია გაკვეთილების ცხრილი და მორიგეობის განრიგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას ცალკე დოკუმენტად გაწერილი არა აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოზე ზრუნავენ სკოლის თანამშრომლები, კლასების დამრიგებლები, სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში არ ჰყავთ ფსიქოლოგი, მაგრამ სადამრიგებლო საათის ფარგლებში ნაწილობრივ ხორციელდება აქტივობები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის კონტროლს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით ჰყავს ორი შტატგარეშე თანამშრომელი - დამლაგებელი და ხუთი სოციალური პროგრამით დასაქმებული პირი (დროებით). სკოლაში სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვას აკონტროლებს სკოლის ექიმი. სკოლა აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და მასალებით. სკოლაში გამოკრულია თემატური საინფორმაციო პლაკატები და მანიშნებლებისკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს სასკოლო ცხოვრებაში. მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი თვალყურს ადევნებს და უზრუნველყოფს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას, სკოლას ჰყავს დამლაგებლები. ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილია სანიტარულ ჰიგიენური საშუალებებით. სკოლის შენობაში არის შიდა საპირფარეშოები, მ/შ ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე, სადაც სრულად არის დაცული სანიტარულ ჰიგიენური ნორმები, სკოლა შეუფერხებლად მარაგდება ცენტრალური წყლით, მაგრამ შეწყვეტის შემთხვევაში სკოლას აქვს სათადარიგო ავზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი და უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, ამისთვის გამოყოფილი არის პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხიმგებელი პირი. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ მონაცემებში დაფარულია პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. მშობელი ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, რათა სკოლამ განახორციელოს მისი შვილის ფოტო-ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიყენოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემებს შემუშავებული მექანიზმის მიხედვით. განსაზღვრულია დოკუმენტებზე წვდომის უფლების მქონე კონკრეტული პირი/ პირები “ eflow“ და “e-shool” მონაცემთა ბაზებში. ასევე დაცულია ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირებული ჩანაწერები. მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს. ვიდეო მონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე. ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლა უსაფრთხოების ფუნქციონირების შეფასებას პერიოდულად ახდენს, მაგრამ მას არ აქვს სისტემური ხასიათი. ამ მიმართულებით იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ წერილი და დოკუმენტები;
2. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტი
3. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი

• მრჩეველთა საბჭოს ოქმი
• ვიზუალური დათვალიერება;
• ზეპირი ინტერვიუ
• უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზა1.იის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსებით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებით. საბუნებისმეტყველო საგნებისათვის გამოყოფილია ლაბორატორია. ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვით, ცდების ჩასატარებელ მაგიდაზე დაკრულია ცეცხლგამძლე შუშა. ლაბორატორიას ახლავს სველი წერტილის ოთახი, მოსწავლეებმა შძელონ ცდების ჩატარების შემდეგ ხელების დაბანა. სკოლას შეუძლია დააკმაყოფილოს ავტორიზაციით მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა შესაბამისი, გამართული ინფრასტრუქტურით. სკოლას აქვს საკმარისი საკლასო და დამატებითი ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი, სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი უახლესი სპორტული ინვეტარით აჭურვილი (სპორტული დარბაზი ახალი აგებულია, დგას ეზოში) ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, დირექციის და ადმინისტრაციის კაბინეტები, ტექნიკური პერსონალის ოთახი, კეთილმოწყობილი ეზო. ყველა კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. სკოლაში კეთილმოწყობილია რეკრეაციული სივრცეები, ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი და საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები. სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება. წიგნები დამუშავებულია დადგენილი წესით. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სკოლის საზოგადოებისათვის, გამოიყურება ესთეტიკურად. სკოლის ბიბლიოთეკარი თანამშრომლობს კათედრასთან. აქტიურად ერთვება სასკოლო პროექტებში.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

3. სკოლა სრულად ადაპტირებულია. პირველ სართულზე მდებარეობს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. აქვს მოსასვენებელი და სამუშაო ზონები. რესურს ოთახში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. ინკლუზიური

განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესია, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროება. სკოლას აქვს პანდუსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება ერთიან, სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის მთლიანი სივრცე სავსეა მცენარეებით. მყუდრო გარემო ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მშვიდად წარმართვას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესისთვის დანიშნული ყველა საჭირო სივრცე: მოვლილი ეზო, ნათელი საკლასო ოთახები, ფართო დერეფნები, კაბინეტ-ლაბორატორიები, პროფესიის ათვისების მიზნით გამოყოფილი ოთახი, დამხმარე სივრცეები, ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი. ეს ყველაფერი ქმნის მოსწავლის მხარდაჭერის პირობას და ხელს უწყობს ფიზიკურ სიჯანსაღეს, თანამშრომლობითი და გუნდური უნარების განვითარებას. სკოლა ხშირად ატარებს კურიკულუმის მიღმა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის აქტივობებს. მოსწავლეებს აქვთ სივრცეები თანმშრომლობისთვის და საკუთარი იდეების რეალიზაციისთვის. სკოლას აქვს უახლესი სპორტულიინვენტარით აღჭურვილი დარბაზი. სკოლის ეზოში გაშენებულია ივლიტა ჯიბუტის სახელობის სკვერი, 13 ივნისის ტრაგედიის დროს დაღუპული სკოლის კურსდამთავრებულის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სკოლის ბიბლიოთეკაში. წიგნები დანომრილია და ანბანის მიხედვით, შესაბამისად, განთავსებულია თაროებზე. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების წარმართვას, სკოლას აქვს საჭირო თვალსაჩინოებები, პლაკეტები, სქემები მულაჟები, ქიმიისა და ფიზიკის კურიკულუმით განსაზღვრული ცდების ჩატარებლად საჭირო ნივთიერებები და ხელსაწყოები. სკოლა ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს კურიკულუმებით განსაზღვრული რესურსების მობილიზებას. მოსწავლე უზრუნველყოფილია გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებით და სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკის დებულება
- ვიზუალური დათვალიერება
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორია
- კომპიუტერული ლაბორატორია

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით. სკოლის ყველა სივრცეში ხელმისაწვდომია სასკოლო ინტერნეტი. სკოლას აქვს კომპიუტერული კლასი 10 კომპიუტერითა და ვიდეოთვალით. სკოლის დირექცია და ადმინიტრაცია აღჭურვილია 3 კომპიუტერით და 2 პრინტერით. მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სივრცეში განთავსებულია 1 კომპიუტერი და ერთი პრინტერი. ბიბლიოთაკა აღჭურვილია კომპიუტერით. სკოლას აქვს ასევე 2 პროექტორი, სმარტტელევიზორი. სასკოლო საზოგადოება აქტიურად სარგებლობს ელექტრონული პორტალებით, საგანმანათლებლო საიტებით, რომელებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს იმას,ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე პერსონალისთვის. სასკოლო საზოგადოება კომპიუტერულ ტექნიკას იყენებს მიზნობრივად.მ სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- ზეპირი ინტერვიუ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავარობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება eflow, eschool, rs.ge. eflow-ის საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას აქვს სრულფასოვანი პროფილი მართვის ელექტრონულ სისტემაში, შეტანილი აქვს მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლის მონაცემები. შევსებული ყველა გვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ადგილზე სისტემის ვიზუალურად დათვალიერებით აღმოჩნდა , რომ ყველა ანგარიშს და ინფორმაციას დროულად აწვდიან რესურსცენტრს, დროულად აწვდიან ფინანსურ ანგარიშებს. სკოლას გამოქვეყნებული აქვს ანგარიში მაცნეს გვერდზე საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, დროულად ბარდება დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა შეფასება ინდიკატორთან - „სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით“ - დაკავშირებით და სკოლის ვებ.გვერდზე განათავსა ინფორმაცია სკოლაშო მიმდინარე პროცესებსა და სიახლეებზე .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რათა სკოლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყოს სანდო და უტყუარი. სკოლას ამ მიზნით გამოყოფილი ჰყავს სპეციალური პირი, საქმის მწარმოებელი, რომელსაც ევალება სოციალურ გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება,ის პასუხისმგებელია ამ გვერდის ფუნქციონირებაზე, მას ინფორმაციას აწვდიან დირექტორი, კათედრის ხელმძღვანელები, მასწავლებლები. ინფორმაცია გამოქვეყნების წინ ყოველთვის მოწმდება. სკოლის სოციალური გვერდი ქმნის შთაბეჭდილებას მიმდინარე პროცესების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ინფორმაციას ღებულობს სხვადასხვა საშუალებით: სოციალური ჩატი, მშობელთა კრება, მრჩეველთა საბჭო. მნიშვნელოვანი წინადადებები განიხილება პედსაბჭოზე, კათედრებზე აკეთებენ ანალიზს და ითვალისწინებენ მუშაობის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა შეფასება ინდიკატორთან - „სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას“ - დაკავშირებით და გააქტიურა სკოლის ვებ.გვერდი, განათავსა ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა შეფასება ინდიკატორთან - „ ვებ.გვერდი. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელიდოკუმენტი), სასწავლოპროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და

სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია“ - დაკავშირებით და ინფორმაცია განათავსა ვებ.გვერზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური გვერდი
- სკოლის ვებ გვერდი
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მცირეკონტიგენტიანია. სახელმწიფოსგან ყოველთვიურად, სტაბილურად იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას და პედაგოგთა სტატუსის შესაბამის დანამატს, რაც უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას. სკოლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულებას, რომელშიც გაწერილია სტრატეგიული გეგმის შესრულებისათვის პრიორიტეტული ამოცანები. მისი მომზადებისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები, სავარაუდო ხარჯები და საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. ბიუჯეტი მოიცავს არა მარტო თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისა და მიმდინარე ხარჯებს, არამედ სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაბამისად შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს წახალისების, თანამშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის, სასწავლო და სათემო ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ასიგნებებს. ბიუჯეტის პროექტი წარედგინება სამეურვეო საბჭოს და განხილვის შემდეგ ხდება მისი დამტკიცება. საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიუჯეტის კორექტირება სათანადო პროცედურების დაცვით. სკოლა მსხვილი ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტას ახერხებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. არაფორმალური განათლების დაფინანსება უზრუნველყოფილია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელება. დაგეგმვის პროცესში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ნაწილობრივ ყველას ინტერესების შეძლებისდაგვარად გათვალისწინებას. სკოლის სწორად და გამართულად მუშაობისთვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა. მისი მომზადებისას თავიდანვე განისაზღვრება: 1. სავარაუდო შემოსავლები; 2. მომდევნო წლის პრიორიტეტები; 3. სავარაუდო ხარჯები; 4. საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. სკოლას არა აქვს დიდი ფინანსური შემოსავალი. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტში ჩაშლილია წლიური აუცილებელი ხარჯები. დაგეგმვა არის რეალისტური.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, ქმნის ყოველწლიურ ბიუჯეტს , აკეთებს ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს. ავსებს ბალანსის ფორმებს და წარუდგენს მაკონტროლებელ ორგანოს, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშებს. შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების წესი. სკოლა ყოველი წლის ნოემბრის თვეში შეიმუშავებს შესყიდვების წლიურ გეგმას და ტვირთავს გვერდზე ePLAN , როგორც გეგმას ასევე შესრულების ანგარიშს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- ზეპირი ინტერვიუ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე.
- წლიური ფინანსური ანგარიში

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოქმედებს საქართველოს კანონით "ზოგადი განათლების შესახებ", სადაც განსაზღვრულია მოსწავლის ძირითადი უფლებები, ასევე ხელმძღვანელობს დამტკიცებული შინაგანაწესით. შინაგანაწესში არის მუხლები, რომლებიც არეგულირებენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და უზრუნველყოფს მათ გარანტიებს. სკოლაში თვითმმართველობის არჩევნები იმართება ყოველი წლის ოქტომბრის თვეში. სკოლაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

შეესაბამება

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები გამჭვირვალეა, სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სკოლის ფოიეში. სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს სასკოლო საზოგადოებას შინაგანაწესს მშობელთა კრებებსა და კლასის საათის დროს. **შეესაბამება**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას. რომლის ვადა განისაზღვრა მოსწავლის მიერ სწავლის დასრულებამდე, ასევე ხელშეკრულების აღნიშნულმა მუხლმა დაარეგულირა ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტის საფუძვლები. ხელშეკრულების შინაარსში გათვალისწინებულია მოსწავლეთა კონფიდენციალურობის საკითხიც. ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი გამოხატავს თანხმობას შვილის ფოტო/ვიდეო მასალის გასაჯაროების შესახებ, თუ ეს ემსახურება მოსწავლის ან და სკოლის ინტერესებს. პირველ მშობელთა კრებაზე ხდება ხელშეკრულების შინაარსის გაცნობა და მშობელი ხელისმოწერით ადასტურებს თანხმობას ხელშეკრულების პირობებზე და სკოლის შინაგანაწესის გაცნობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებების ერთი ორიგინალი ეგზემპლარი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
2. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
3. დისციპლინარული კომიტეტის სხდომის ოქმი;
4. შინაგანაწესი, წესდება;
5. ხელშეკრულებები;
6. სკოლის ვებ გვერდი;
7. ფესიბუქ გვერდი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლას, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრი N 04/ნ ბრძანების, ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო სასწავლო გეგმის და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი, რაც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. ინფორმაცია პირველკლასელთა მიღების წესისა და ვადების შესახებ განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. **შეესაბამება**
2. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა პროცედურის დაცვით, პირველკლასელი სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ვადებითა და რეგულაციით, სტატუსის დადგენის შემდეგ მოსწავლე ბრძანების საფუძველზე ირიცხება პირველ კლასში. **შეესაბამება**
3. სკოლას აქვს სხვადასხვა ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი: ვებ გვერდი, ფეისბუქ გვერდი, ელ. ჟურნალის კომენტარები, მესენჯერ ჯგუფი. სსგ გაზიარებულია სკოლის ბლოგზე, საინფორმაციო დაფაზე.**შეესაბამება**
4. სკოლის მიერ ეროვნული სასაწავლო გეგმით განხორციელებული პროგრამების, სერვისების, რესურსების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირთათვის კანონმდებლობის შესაბამისად. **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანებები;
2. აღრიცხვის ფორმები;
3. ვებ გვერდი;
4. ინფრასტრუქტურა;
5. ფესიბუქ გვერდი.
6. ხელშეკრულებები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტირებას ახორციელებს სადამრიგებლო პროგრამით, მოსწავლის მიღების წესით და შინაგანაწესით. სკოლას აქვს შექმნილი მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმი, რომელიც გაწერილია სადამრიგებლო პროგრამებსა და სკოლის შინაგანაწესში. კლასის დამრიგებლები ყოველი ახალი მოსწავლის მიღების დროს ადაპტირების მიზნით ატარებს სხვადასხვა აქტივობას. **შეესაბამება**

2. სკოლაში სწავლის დაწყებისას ყველა კლასის დამრიგებელი თავის სადამრიგებლო პროგრამაში შინაგანაწესიდან გამომდინარე ასახავს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ ფაქტორებს. სკოლა ხელმძღვანელობს ტრანზიციის მხარდაჭერის ზოგადი სახელმძღვანელოთი. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებამდე წინასწარ გეგმავენ მომავალ მოსწავლეებსა და მშობლებთან როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური საორიენტაციო შეხვედრებს. ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა, წინასწარ გაეცნონ და შეეგუონ მომავალ დამრიგებელს, ისევე, როგორც მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, წინასწარ გაიცნოს ბავშვები, გაეცნოს მათ საჭიროებებს, ძლიერ მხარეებსა და განსაზღვროს სასწავლო პროცესში მათი ჩართვის ხელშეწყობის გზები; **შეესაბამება**

3. სკოლას გააჩნია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სკოლაში აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად შემუშავებულია სხვადასხვა სტრატეგიები: განმავითარებელი შეფასებები და მათი რეკომენდაციები, შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში უტარდებათ ინდივიდულაური და დამატებითი მეცადინეობები. **შეესაბამება**

4. სკოლას გააჩნია ხელშემწყობი გარემო საიმისოდ, რომ მოხდეს მოსწავლეთა მხრიდნ ინოვაციებისა და იდეების რეალიზება, ხორციელდება სასკოლო და საერთაშორისო პროექტები, ხდება სპონსორების მოძიება და არაერთგზის იქნა მოპოვებული ფინანსური გრანტები, რომელიც გამოყენებული იქნა მიზნობრივად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლაში არსებობს სასწავლო პროგრამების ექსტერნის ფორმით დაძლევის პრაქტიკა. ექსტერნის ვადებისა და სკოლის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ წინასწარ ინფორმირებულია მოსწავლე, მშობელი, კანონიერი წარმომადგენელი. **შეესაბამება**

5. სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი არაფორმალურ აქტივობებში, კერძოდ, სკოლაში არასამთავრობო ორგანიზაცია "Mac Georgia"-ს ინიციატივით ფუნქციონირებს წრეები, რომლებშიც უზრუნველყოფილია მოსწავლთა მრავალმხრივი ინტერესების და მისწრაფებების რეალიზება. მოქმედებს თეატრალური, ხალხური მუსიკის, ფეხბურთის წრე, სადაც მოსწავლეები აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს. პერიოდულად იმართება ლიდერთა ბანაკები, სადაც მოსწავლეები ეჩვევიან ჯანსაღ კონკურენციას და

ივითარებენ ლიდერისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. სკოლაში არაერთგზის განხორციელდა სახვადასვა მიმართულების პროექტი „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ თანამშრომლობით. **შეესაბამება**

6. სკოლას აქვს პრაქტიკა კურიკულუმის რევიზიის, რომელშიც ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. მშობელთა კრებებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაინერგა კომპლექსური დავალებების საკლასო სივრცეში შესრულების პრაქტიკა. მნიშვნელოვანი იყო მშობელთა უკუკავშირის სისტემის დანერგვა, მასწავლებლის მიერ გაცემულ განმავითარებელ შეფასებასთან მიმართებით. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს “Forms” კითხვარების გამოყენებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას და უკუკავშირის შესაბამისად ფორმალური და არაფორმალურ მომსახურების გაუმჯობესებას. **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო პროექტები;
2. შეფასების ფორმები;
3. მოსწავლეების მხარდაჭერა.
4. კლუბები, წრეები;
5. ვებ-გვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც კი სკოლაში შემოდის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებიდან ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესაებ, ეს ინფორმაცია დამრიგებლების მიერ ეცნობება მოსწავლეებს და დაინტერესების შემთხვევაში მოსწავლეები ესწრებიან აღნიშნულ შეხვედრებს. სკოლა ეხმარება მოსწავლეებს შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენაში. თემატური აქტივობები გათვალისწინებულია სადამრიგებლო პროგრამებში. ხშირად ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა მიმართულების სასწავლებლების და კოლეჯების წარმომადგენლებთან. მოსწავლეები მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებში მეწარმეობის მიმართულებით, აწყობენ სასწავლო ექსკურსიებს ბიზნეს-საქმიანობების გაცნობის მიზნით. ამ დროისათვის სკოლაში მოქმედებს მეწარმეობის კლუბი „პატარა მეწარმეები“. **შეესაბამება**

2. სკოლა მუდმივად ცდილობს, მიაწოდოს მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. რისთვისაც მიმართავს სხვადასხვა მექანიზმებს: სადამრიგებლო საათები, გასვლითი ექსკურსიები. **შეესაბამება**

3. სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს მომავალი აქტვობების დაგეგმვის პროცესში. სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევას და შედეგების გათვალისწინებას მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

რჩევა: *სასურველია სკოლამ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის შეფასების მიზნით შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუმენტები/მექანიზმები*

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო პროექტები;
- კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება;
- კლუბის სილაბუსი;
- კლუბის წესდება;
- ცნობა მეწარმეობის შესახებ.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, აქვს რესურსოთახი, სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების განათლებასა და მათ სოციუმში დამკვიდრებაზე, რისთვისაც შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი. განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, რომელიც გასაჯაროებულია. **შეესაბამება**
2. სკოლაში თითოეულ სსსმ მოსწავლეზე შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია წინასწარი დაკვირვება და მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასება. სპეციალურ მასწავლებელს აქვს აქტიური კომუნიკაცია როგორც მოსწავლეთა მშობლებთან, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მიზნით. სპეციალური მასწავლებელი აქტიურად ურთიერთობს თითოეული საგნის მასწავლებელთან და ერთობლივად ქმნიან სსსმ მოსწავლეზე მორგებულ ადაპტირებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასა და აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებათან. **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო პროექტები,
2. სსსმ მოსწავლეთა რეგულაციები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ამ ეტაპზე არ ახორცუიელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. **შეესაბამება**
2. სკოლა ამ ეტაპზე არ ახორცუიელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. **შეესაბამება**
3. სკოლა ამ ეტაპზე არ ახორცუიელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება -

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევასა სკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლაში შემუშავდა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების მეთოდოლოგია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. ინტერესის გათვალისწინება მოხდა ზეპირი გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. კურიკულუმი წარმოაჩენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეს პიროვნული განვითარებისათვის. კურიკულუმი ერთი მხრივ წარმოაჩენს სკოლის ტრადიციებსა და პრიორიტეტებს, მეორე მხრივ უზრუნველყოფს შეთანხმებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა წარმატებით მიმდინარეობს, რადგან იზიარებს და მონაწილეობს მის განვითარებაში მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომელიც სასწავლო პროცესის უწყვეტი პროცედურაა. ინტერესის გათვალისწინება ხდება ზეპირი
გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით, გამოცდილების გაზიარებით სასკოლო და რეგიონულ დონეზე. თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად. კურიკულუმში ცვლილება შესაძლებელია მოახდინონ ნებისმიერ დროს, როცა ამის საჭიროებას დაინახავენ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად მისი(ე.ი. წინა წლის კურიკულუმის)განხორციელების პროცესის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. შემუშავებაში კათედრის ყველა წევრი ერთვება და თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად; შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის. ასევე შეარჩევენ მექანიზმებს, რომლითაც შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა რომელიმე კათედრის წევრი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლა გამოცდილების შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის კურიკულუმს. მომავლის გეგმებს უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს. გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებები. მაგალითად ელექტრონული ფოსტა, სკოლის სოციალური გვერდი, ელექტრონული ჟურნალი და სხვა. სწორად დაგეგმილი კურიკულუმის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა და მიღწეული შედეგები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- კურიკულუმის ჩარჩო 2023-24 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება, საკითხი/საკითხთა კლასტერები, კომპლექსური დავალების იდეები, მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება. ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს და შესაბამის დავალებებს აძლევენ. გამოიკვეთა სურათი, რომელიც გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
დაწყებით საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება დაწყებით საფეხურზე. სამიზნე ცნებები მუშავდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სასწავლო პროცესის დროს სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები; სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ დაწყებით საფეხურზე საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: აქტივობების შერჩევა ხდება მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების, მათი ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესში ჩართულია დამრიგებელი, მშობელი, საგნის მასწავლებლები, სპეცმასწავლებელი. სსსმ მოსწავლეებისათვის იქმნება ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

რჩევა (ესთეტიკის კათედრა) მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მიდგომები სსსმ მოსწავლეების მიმართ და მათთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ესთეტიკის კათედრას არ წარმოუდგენია სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. საურველია სკოლამ წარმოადგინოს ესთეტიკის საგნებში კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვარიანტები სსსმ მოსწავლეებისთვის. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

დაწყებით საფეხურზე სკოლა გეგმავს ეფექტიანი განმავითარებელი შეფასების ფორმებისა და უკუკავშირის მიწოდებას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე. დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, თუმცა პედაგოგებს აქვთ მზაობა, როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ისინი სრულყოფენ შეფასების ახლებურ ინდიკატორებს, ამჯერად კი ისინი იყენებენ შეფასების ძველ კრიტერიუმებს. რადგან დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რათა შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

რჩევა: ესთეტიკის კათედრამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა ხელოვნების საგნის ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. ასევე წარმოდგენილია 1-IV კლასების შეფასების რუბრიკა, რომლის გამოყენება ყველა საგნისთვის იგეგმება. მუსიკის შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ რუბრიკების მნიშვნელოვანი გადამუშავება (უნდა დარჩეს ერთი სამიზნე ცნება, დაემატოს ქვეცნებები და ა.შ). ამავე დროს მუსიკაში უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები მე-5 და მე-6 კლასებისთვის. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაწყებით საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ვერსიები, რომლებიც წინარე გამოცდილებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეს. ასევე წარმოადგინეს დამატებითი დოკუმენტაციის სახით შევსებული კურიკულუმები, თუმცა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც დროდადრო გეგმავენ, რათა უკეთესად წარმართონ

სასწავლო პროცესი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა საშუალებას აძლევთ დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება, სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება ხდება კათედრაზე წარმოდგენილი ანგარიშების საშუალებით. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღებას ამახვილებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებაზე. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- **საგნობრივიკურიკულუმის ჩარჩო**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა**
- **კომპლექსური დავალების მატრიცა**

შეფასება:

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილადშეესაბამება
☐ ნაწილობრივშეესაბამება
☐ არშეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას
კათედრას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები, ინგლისური ენისა და მათემატიკის ინტეგრირებული სასწავლო პროექტი, სახელმწიფო და უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: კათედრის წევრებს აქვთ სწორი ხედვა და დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ პოზიტიური სასკოლო გარემო, მოსწავლის ინიციატივების წახალისება, მოსწავლის ავტონომიურობისა და მიკუთვნებულობის განცდა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწვალის შემოქმედებით პოცესებში ჩართულობისათვის. ამის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მათ მიერ წარმოდგენილ

კურიკულუმებში გაწერილი დასამუშავებელი თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები, შერჩეული რესურსები; აგრეთვე, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ისეთი აქტივობების განხორციელებაზე, როგორიცაა სასკოლო-სასწავლო პროექტები, ავთენტური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე არის აქტიური შემმეცნებელი, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; აქვს საშუალება, გადმოსცეს და საკუთრი სიტყვებით ახსნას იდეები და მიგნებები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მათთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ კათედრა საგნობრივ კურიკულუმებს მოიაზრებს და განიხილავს, როგორც მოსწავლის ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამას მოწმობს მათ მიერ საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ახლოსაა მოსწავლის რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებთან და გამოცდილებასთან; საგაკვეთილო პროცესში წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის გამოყენებული შეკითხვები, გონებრივი იერიში, გეზისმიმცემი შეკითხვები ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის და ა. შ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, მისი ინტერესები და ცნობისმოყვარეობა, მსჯელობები გადაწყვეტილების პროცესში მის პოზიციაზე, მათ მიერ შესასრულებელი/შესრულებული დავალებების რეფლექსიაზე (წინმსწრები და შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზები), მოსწავლის ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? რა გაუადვილდება, რა გაუჭირდება, რას აკეთებს/გააკეთებს მიზნის მისაღწევად; რაც გვაძლევს იმისი თქმის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში აცენტები კეთდება სწავლის სწავლაზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

კათედრას მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს; მაგალითად, იქ სადაც შუალედურ მიზნებად მოიაზრება კომპლექსური დავალებები, კურიკულუმებში იერარქიულად გაწერილია, როგორ მიემართება ქვესაკითხები სამიზნე ცნებებისკენ, რომლის პრაქტიკულად განხორციელება გულისხმობს სწორედ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას. მაგალითად, ფაქტობრივი ცოდნის ათვისების შემდეგ (ლექსიკა, გრამატიკა) ხდება ამ ცოდნის სხვადასხვა სავარჯიშოებში გააქტიურება (მითითებულია რესურსები, სავარჯიშოები) და შემდგომ უკვე ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენება (კომპლექსური დავალებები), რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებას და დასწავლას უწყობს ხელს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კათედრას მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების / ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების კარგ საშუალებად განიხილავს; კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ასეთი დავალებების განხორციელება ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- **კურიკულუმის ჩარჩო 2023-24 ს/წ.**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა**
- **კომპლექსური დავალების მატრიცა**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკვეთება კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს შევსებული ნაწილები, მეორე მხრივ მასწავლებელთა მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების პროცესისადმი. დაწყებითი საფეხურის კათედრას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების გამოყენებას სასწავლო პროცესში. დავალებები შეესაბამება სავალდებულო თემებს, თემების შესაბამის საკითხებს და მიემართება სამიზნე ცნებებს. კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს, რომ მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესი

უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზეა შემუშავებული შეფასების კრიტერიუმებიც. წარმოდგენილმა კურიკულუმებმა აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების და საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ მოწოდებულ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, ასევე სოციო-ემოციური სფეროს განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებები ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს, მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირებაც, რაც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ისეთი საგნობრივი კონტექსტებით, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს, იყენებენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებსაც. პედაგოგები სასწავლო წლის მანძილზე შეიმუშავებენ და განავითარებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ჩაატარებენ და გააანალიზებენ დიაგნოსტიკური წერის შედეგებს. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ იყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ აღნიშნეს, რომ სასაწავლო პროცესში ისინი ხელს შეუწყობენ მოსწავლეების ჩართვას საკუთარი თავის და ერთმანეთის შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და კრიტერიუმების ნიმუშები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სკოლის შეფასების სისტემა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებების მიხედვით შედგენილი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული

შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების რუბრიკების წარდგენა და განხილვა მოხდა საგნობრივ კათედრებზე. შეფასების რუბრიკების გაცნობა მოსწავლეთათვის ხდება მასწავლებლების მიერ. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება მოსწავლეებთან ერთად ვალიდური ანუ მიზანზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. შეფასების კრიტერიუმის ვალიდურობას მასწავლებელი ამოწმებს სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა, სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური შეფასების სისტემა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. სკოლას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი დოკუმენტის სახით აქვს შემუშავებული, მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება შეფასების ინსტრუმენტების შექმნის, გადახედვისა და შეცვლის. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების შინაარსთან. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6.სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვის გამოცდილება, ომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ახალ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაითვალისწინონ დოკუმენტების სამი წლის ვადით შენახვის ვალდებულება.

შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო 2023-24ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც უზრუნველყოფილია შინაგანაწესში და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი საკითხებით - მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელშიც იკვეთება სკოლის არჩევანი, იყოს მოსწავლის მხარდამჭერი, შექმნას განათლების, კულტურის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების კერა, თანამედროვე ინფრასტრუქტურული გარემოთი, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო რესურსებითა და ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვილი კადრებით, სადაც აღიზრდებიან წარმატებული ადამიანები. სკოლას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს მოსწავლეთა კლუბების გაძლიერება კულტურულ საგანმანათლებლო მიმართულებით, სადაც ვკითხულობთ, რომ მთელი სასწავლო წლის მანძილზე აქტიურად ითანამშრომლობენ პარტნიორ ორგანიზაციებთან. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი ზრუნავს, რომ სკოლაში იყოს კეთილგანწყობილი გარემო, რასაც ადასტურებს მასწავლებლის რეფლექსიაც, სადაც ჩანს - მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს, რომ კეთილგანწყობილ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო ცხოვრებისათვის და ამიტომ პოზიტიურ კომუნიკაციას ამყარებს მოსწავლეებთან და მთლიანად სასკოლო საზოგადოებასთან. თანამშრომლობითი კულტურა გაგრძელდება მომავალშიც, რაც გამოხატული იქნება სხვადასხვა ღონისძიებასა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობით, ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვით, კურიკულიმებზე ერთობლივი მუშაობით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მასწავლებლებმა იციან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი შესაძლებლობებით, სწავლის სტილით და ინტერესებით, ამიტომ ცდილობენ სწავლის პროცესი და კურიკულუმები დაგეგმონ ისე, რომ მორგებული იყოს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებას. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეებზე დაკვირვებას და გამოკითხვას, რათა გამოიკვეთოს მათი ინტერესები და საჭიროებები, რასაც კურიკულუმების დაგეგმვისას და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას გაითვალისწინებენ. მასწავლებლები უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემოს შექმნით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და მათ ჩართვას სასწავლო პროცესში. წახალისებული და მხარდაჭერილი იქნება მოსწავლეთა ინიციატივები სკოლაში სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებთ. მასწავლებლები გეგმავენ უფრო ხშირად ჩართონ მშობლები სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებებში, რადგან ეს დადებითად აისახება მოსწავლის მიღწევებზე. ამას მოწმობს VI-ე კლასში ჩატარებული ფიზიკური აღზრდისა და მუსიკის ინტეგრირებული გაკვეთილი, რომლის რეფლექსიაშიც ვკითხულობთ, რომ ინტეგრირებულ გაკვეთილში ჩართულები იყვნენ მოსწავლეები და მათი მშობლები, გაკვეთილი წარიმართა სახალისოდ და საინტერესოდ, მოსწავლეებს მხატვრულ ესთეტიკური და სპორტული უნარების გარდა, განუვითარდათ კომუნიკაცია და სხვა გლობალურ ფუნქციური უნარები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, სკოლაში გეგმავენ და ახორციელებენ ურთიერთდასწრებებს - „კრიტიკული მეგობრის“

კუთხით, რის შემდეგაც მასწავლებლები სამუშაო შეხვედრების დროს აანალიზებენ სასწავლო პროცესს, ერთმანეთს აძლევენ რჩევებს და რეკომენდაციებს, უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას და ურთიერთდასწრებებით გამოკვეთილი სუსტი მხარეების დასაძლევად ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. როგორც კურიკულუმების, ასევე სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მთლიანად სასკოლო საზოგადოების აზრს. სკოლა ურთიერთნამშრომლობის კულტურის გაძლიერების მიზნით სამომავლოდ გეგმავს უფრო მეტ ინტეგრირებულ გაკვეთილს და ერთობლივ პროექტს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. იგრძნობა პოზიტიური კლიმატი, რაზეც მოწმობს შიდა სასკოლო აქტივობების შემდგომი დადებითი გამოხმაურება, როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლების მხრიდან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად სკოლა გეგმავს მრავალ აქტივობას. მოსწავლეებს ეძლევათ როგორც საკუთარი აზრის გამოთქმის, ასევე ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სკოლაში უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნაზე. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს ზრუნვა დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნაზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შინაგანაწესი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- მასწავლებლის რეფლექსია
- ინტეგრირებული გაკვეთილი - ფიზიკური აღზრდა და მუსიკა

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ეხმარება სკოლას კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგსა და შეფასებაში. მონიტორინგისა და შეფასების მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ დაკვირვებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართულია კათედრა, დირექცია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ამ მიზნით სისტემატიურად ხდება გაკვეთილებზე დაკვირვება, ურთიერთ დასწრება და ამის შედეგად მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა. სასწავლო პროცესზე დაკვირვება პედაგოგების მხრიდან აღქმულია , როგორც მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც დაეხმარებათ მათ უკეთესი შედეგების მიღწევაში. მაგალითად, ესთეტიკის კათედრის პედაგოგები ერთმანეთს სისტემატიურად უზიარებენ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებიდან მიღებულ გამოცდილებას და ერთად გეგმავენ ინტერვენციებს შედეგების გასაუმჯობესებლად. ხელოვნების მასწავლებელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მან კოლეგებს გაუზიარა საკუთარი წარმატებული გამოცდილება 2022/23 სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალების შესახებ თემაზე "ზღაპრული სამყარო". პედაგოგები ცდილობენ შეარჩიონ ისეთი დავალებები, რომლებიც მოსწავლეებში უფრო მეტ იტერესს აღძრავენ, რაც სწავლის მოტივაციის გაზრდას შეუწყობს ხელს. მოსწავლენთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით და იმის დასადგენად, თუ რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგები, სკოლა გეგმავს წელიწადში ორჯერ სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტის გამოყენებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პედაგოგებს საშუალებას აძლევს გადახედონ და შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე კოლეგების მიერ განხორციელებული აქტივობები, დააკვირდნენ შედეგებს და განსაზღვრონ, რამდენად შეესაბამება მიღებული დაგეგმილს და რა არის საჭირო უკეთესი შედეგების მისაღებად. კათედრები სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ სასწავლო კომპლექსურ დავალებებს, მსჯელობენ მოსწავლეთა ნამუშევრების დადებით და პრობლემურ მხარეებზე და შედეგების გაუმჯობესების გზებზე. მონიტორინგის პროცესში, კათედრის გარდა, აქტიურად არის ჩართული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც აქტიურად

აკვირდება სასწავლო პროცესს და გამოკვეთს პედაგოგთა პროფესიული საჭიროებებს. ამ პროცესში იკვეთება, თუ როგორ უწყობს ხელს გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებით აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას. მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები ხელს შეუწყობს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას.

***რჩევა**: სასურველია სკოლამ უფრო ინტენსიურად გამოიყენოს დაკვირვების შემდეგ მასწავლებელთა წერილობითი რეფლექსიის ინსტრუმენტი.*

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის პროცესში. როგორც ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-12 რესურსიდან ჩანს, 2023/24 სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება პედაგოგიურ პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტის, კოლეგების ინტერვიუებისა და თემატური მატრიცის გამოყენებით. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლის ბაზაზე შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ადგენს, თუ რა პრობლემები გამოიკვეთა დაკვირვების პროცესში.

ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მათ ეხმარებათ პრობლემის იდენტიფიცირებაში, მაგალითად, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზგასმით განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი (V-VI კლასები) და განმავითარებელი შეფასების (I-VI კლსები) რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით, დიაგნოსტიკური ტესტებით და ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლა გეგმავს, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტირება, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ შეაფსების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ და განავითაარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრა იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, ზეპირი და წერილობითი კომენტარი, თვითშეფასება და სხვა. მოპოვებული მონაცემების მიხედვით მასწავლებლებს შეუძლიათ დაადგინონ მოსწავლეთა პროგრესი, სუსტი და ძლიერი მხარეები, ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. აღნიშნულიდან გაგმომდინარე, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

პედაგოგები მოსწავლეთა შეფასებისას განსაზღვრავენ მიზნებს - რა უნდა შეფასდეს, რა უნდა გამოავლინოს ამ შეფასებამ, როგორ მოხდეს მოსწავლეზე დაკვირვებისას მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეების განსაზღვრა, რომ შემდგომ მოხდეს ამ ფაქტორების გათვალისწინება და არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზებზე მუშაობა. შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამომავლოდ შეფასებისას უფრო მეტად იქნება გამოყენებული კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები,
- სადამრიგებლო გეგმები

• კათედრის ოქმები

შეფასება:

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილადშეესაბამება

☐ნაწილობრივშეესაბამება

☐არშეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

1. პედაგოგების ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმში ასახულია სკოლის პრიორიტეტები, გათვალისწინებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხდება მიღებული გამოცდილების გაანალიზება. კურიკულუმს შეიმუშავებს კათედრა მშობლების, მოსწავლეების და დირექტორის ჩართულობით. სკოლას გაცნობიერებული აქვს ის გარემოება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია, რომელიც საჭიროებს მიმდინარე პროცესების შესწავლასა და რეფლექსიას, რაც ხელს შეუწყობს დასახული მიზნების მიღწევას და შედეგების გაუმჯობესებას. ესთეტიკის კათედრის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, პოზიტიურ უკუკავშირს აძლევენ მასწავლებელს, ხარვეზის შემთხვევაში კი ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. მათ აღნიშნეს, რომ ანალიზის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მოიაზრება პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტი, რომელიც დაეხმარებათ მათ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენაში და გადაჭრის გზების მოძიებაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ახალი კურიკულუმების შემუშავება მოხდა გასულ სასწავლო წლის ბოლოს, წინა წლის კურიკულუმეის საფუძველზე, წინარე გამოცდილების

გათვალისწინებით. მხედველობაში იქნა მიღებული ის პრობლემები, რომლებიც წინა წლის კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა და გათვალისწინებული იქნა წარმატებული პრაქტიკა. მაგალითად, ესთეტიკის კათედრამ, სკოლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა არ აეგო კურიკულუმი კომპლექსურიდან კომპლექსურამდე აგებულ პროცესზე და შემოიფარგლა წელიწადში ორი კომპლექსური დავალებით. ამავე დროს, ხელოვნების მასწავლებელმა, კურიკულუმში წინა წლის წარმატებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მეორე კლასში შეიტანა კომპლექსური დავალება თემაზე "ზღაპრული სამყარო". ამ კომპლექსური დავალების მორგება მოხდა ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოს რესურსებზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის ჩარჩო

შეფასება:

☐ **შეესაბამება**

☐მეტწილადშეესაბამება

☐ნაწილობრივშეესაბამება

☐არშეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება -

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლაში შემუშავდა საბაზო საფეხურის კურიკულუმების მეთოდოლოგია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. ინტერესის გათვალისწინება მოხდა ზეპირი გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. კურიკულუმი წარმოაჩენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეს პიროვნული განვითარებისათვის. კურიკულუმი ერთი მხრივ წარმოაჩენს სკოლის ტრადიციებსა და პრიორიტეტებს, მეორე მხრივ უზრუნველყოფს შეთანხმებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა წარმატებით მიმდინარეობს, რადგან იზიარებს და მონაწილეობს მის განვითარებაში მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომელიც სასწავლო პროცესის უწყვეტი პროცედურაა. ინტერესის გათვალისწინება ხდება ზეპირი
გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით, გამოცდილების გაზიარებით სასკოლო და რეგიონულ დონეზე. თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად. კურიკულუმში ცვლილება შესაძლებელია მოახდინონ ნებისმიერ დროს, როცა ამის საჭიროებას დაინახავენ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად მისი(ე.ი. წინა წლის კურიკულუმის)განხორციელების პროცესის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. შემუშავებაში კათედრის ყველა წევრი ერთვება და თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად; შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის. ასევე შეარჩევენ მექანიზმებს, რომლითაც შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა რომელიმე კათედრის წევრი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4 კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლა გამოცდილების შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის კურიკულუმს. მომავლის გეგმებს უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს. გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებები. მაგალითად ელექტრონული ფოსტა, სკოლის სოციალური გვერდი, ელექტრონული ჟურნალი და სხვა. სწორად დაგეგმილი კურიკულუმის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა და მიღწეული შედეგები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- კურიკულუმის ჩარჩო 2023-24 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1. საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ესგ-ის მიხედვით სტანდარტში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებისთვისაც მოსწავლეს სჭირდება გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები. კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალების დანერგვის შემთხვევები. გაწერილი პროექტები და აქტივობები გათვლილია მოსწავლის როგორც მეტაკოგნიტური უნარების, ფსიქო-ემოციურ განვითარების მიზნით. საბაზო საფეხურის ართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმს ქმნიან ესგ განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, მასში ჩაშენებული კომლექსური დავალებებით ხორციელდება შუალედური მიზნების მიღწევა, ცნებების, ქვეცნებების გააზრება, იძლევა საშუალებას, მივაღწიოთ სასურველ შედეგს განხორციელებული პროექტები, გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორებიცაა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია. დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეთა დაჯგუფება ხდება სხვადახვა მზაობის ინტერსისა და პროფილის მიხედვით. მასწავლებლები საბაზო საფეხურზე იყენებენ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილ სტრატეგიას.

რჩევა: *საბაზო საფეხურზე მოცემული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები დასახვეწია.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში არ ჩანს საკითხებს შორის ურთიერთმიმართებები. სასურველია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მე-7 და მე-8 კლასების კურიულკუმებში გამოიკვეთოს მეოთხე სამიზნე ცნების - სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მომდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნების/ მხატვრული მახასიათებლების ურთიერთმიმართებები .*

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები

ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორებიცაა: მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია...ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ იგეგმება ისეთი კომლექსური დავალებები, როგორებიცაა: წერილის შექმნა, პრეზენტაციის მომზადება აქტუალურ საკითხებზე, მაგალითად საყვარელი ადგილი ბუნების წიაღში, რითაც დააინტერესებენ თანატოლებს, გარშემომყოფებს, ასევე ორი განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებით გადმოცემული ერთი და იმავე ამბის მსგავსება განსხვავებას, ანალიტიკური ესეს წერას, რომელშიც მოსწავლეები გამოთქვამენ საზოგადოებაში პიროვნების როლზე, მოთხრობის გადაკეთება პიესად(ჟანრის შეცვლა), სიმულაცია. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, კურიკულუმში შეთავაზებული კომპლექსური დავალებები. როგორც საბაზო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, ისინი ქმნიან მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს, რათა ყველა მოსწავლე მაქსიმალურად იყოს ჩართული.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

რჩევა: *(ესთეტიკის კათედრა) მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მიდგომები სსსმ მოსწავლეების მიმართ და მათთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ესთეტიკის კათედრას არ წარმოუდგენია სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. სკოლამ უნდა წარმოადგინოს ესთეტიკის საგნებში კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვარიანტები სსსმ მოსწავლეებისთვის.*

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს: სკოლა გეგმავს ეფექტიანი განმავითარებელი შეფასების ფორმებისა და უკუკავშირის მიწოდებას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე. საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, თუმცა პედაგოგებს აქვთ მზაობა, როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ისინი სრულყოფენ შეფასების ახლებურ ინდიკატორებს, ამჯერად კი ისინი იყენებენ შეფასების ძველ კრიტერიუმებს. რადგან საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რათა შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

რჩევა: *ესთეტიკის კათედრამ საბაზო საფეხურზე მხოლოდ მუსიკაში წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების ნიმუში, არც ერთ საგანში არ არის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თუმცა მე-12 რესურსში მითითებული აქვთ, რომ სექტემბრამდე გეგმავდნენ განმავითარებელი შეფსებების რუბრიკების შექმნას.*

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. საბაზო საფეხურის პედაგოგები კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ისინი, როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, კურიკულუმის დაგეგმვისას აანალიზებენ ხარვეზებსა და კურიკულუმს აუმჯობესებენ. სამომავლოდ გათვალისწინებულია, კათედრების წევრებს შორის განიხილონ საკითხები, საჭიროებისამებრ დაგეგმონ რიგგარეშე სხდომები, დოკუმენტურად ასახონ, რა გამოუვიდათ წარმატებით და რა - არა, გააანალიზონ ხელისშემშლელი ფაქტორები, დაწერონ რეფლექსიები და პერმანენტული ხასიათი შესძინონ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

კათედრას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები, კათედრის სხდომის ოქმები, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: კათედრის წევრებს აქვთ სწორი ხედვა და დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ პოზიტიური სასკოლო გარემო, მოსწავლის ინიციატივების წახალისება, მოსწავლის ავტონომიურობისა და მიკუთვნებულობის განცდა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწვალის შემოქმედებით პოცესებში ჩართულობისათვის. ამის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი დასამუშავებელი თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები, შერჩეული რესურსები; აგრეთვე, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ისეთი აქტივობების განხორციელებაზე, როგორიცაა სასკოლო-სასწავლო პროექტები, ავთენტური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე არის აქტიური შემმეცნებელი, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; აქვს საშუალება, გადმოსცეს და საკუთრი სიტყვებით ახსნას იდეები და მიგნებები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მათთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ კათედრა საგნობივ კურიკულუმებს მოიაზრებს და განიხილავს, როგორც მოსწავლის ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამას მოწმობს მათ მიერ საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ახლოსაა მოსწავლის რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებთან და გამოცდილებასთან; საგაკვეთილო პროცესში წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის გამოყენებული

შეკითხვები, გონებრივი იერიში, გეზისმიმცემი შეკითხვები ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის და ა. შ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, მისი ინტერესები და ცნობისმოყვარეობა, მსჯელობები გადაწყვეტილების პროცესში მის პოზიციაზე, მათ მიერ შესასრულებელი/შესრულებული დავალებების რეფლექსიაზე (წინმსწრები და შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზები), მოსწავლის ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? რა გაუადვილდება, რა გაუჭირდება, რას აკეთებს/გააკეთებს მიზნის მისაღწევად; რაც გვაძლევს იმისი თქმის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში აცენტები კეთდება სწავლის სწავლაზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

კათედრას მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს; მაგალითად, იქ სადაც შუალედურ მიზნებად მოიაზრება კომპლექსური დავალებები, კურიკულუმებში იერარქიულად გაწერილია, როგორ მიემართება ქვესაკითხები სამიზნე ცნებებისკენ, რომლის პრაქტიკულად განხორციელება გულისხმობს სწორედ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას. მაგალითად, ფაქტობრივი ცოდნის ათვისების შემდეგ (ლექსიკა, გრამატიკა) ხდება ამ ცოდნის სხვადასხვა სავარჯიშოებში გააქტიურება (მითითებულია რესურსები, სავარჯიშოები) და შემდგომ უკვე ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენება (კომპლექსური დავალებები), რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებას და დასწავლას უწყობს ხელს.

რჩევა: *რუსულ ენაში 8-9 კლასის კურიკულუმებში სასწავლო პროცესი გაწერილია მხოლოდ თემებისა და ქვეთემების სახით. კათედრას ეძლევა რეკომენდაცია, შუალედურ სასწავლო მიზნებად შეიმუშაოს და განახორციელოს კომპლექსური ტიპის დავალებები სხვადასხვა თემის ფარგლებში.*

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კათედრას მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების / ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების კარგ საშუალებად განიხილავს; კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ასეთი დავალებების განხორციელება ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1 საბაზო საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკვეთება კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს შევსებული ნაწილები, მეორე მხრივ მასწავლებელთა მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების პროცესისადმი. საბაზო საფეხურის კათედრას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების გამოყენებას სასწავლო პროცესში. დავალებები შეესაბამება სავალდებულო თემებს, თემების შესაბამის საკითხებს და მიემართება სამიზნე ცნებებს. კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს, რომ მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზეა შემუშავებული შეფასების კრიტერიუმებიც. წარმოდგენილმა კურიკულუმებმა აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების და საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. *თუმცა, უნდა ღინიშნოს რომ კურიკულუმის საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულება საჭიროებს გადახედვას, რევიზიას და სრულყოფას. კერძოდ, ეს ეხება ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულემებს.*

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ მოწოდებულ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, ასევე სოციო-ემოციური სფეროს განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებები ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს, მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირებაც, რაც მასწავლებლებმა

გასაუბრებისას აღნიშნეს. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ისეთი საგნობრივი კონტექსტებით, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს, იყენებენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებსაც. პედაგოგები სასწავლო წლის მანძილზე შეიმუშავებენ და განავითარებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ჩაატარებენ და გააანალიზებენ დიაგნოსტიკური წერის შედეგებს. აბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ იყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ აღნიშნეს, რომ სასაწავლო პროცესში ისინი ხელს შეუწყობენ მოსწავლეების ჩართვას საკუთარი თავის და ერთმანეთის შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და კრიტერიუმების ნიმუშები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სკოლის შეფასების სისტემა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებების მიხედვით შედგენილი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების რუბრიკების წარდგენა და განხილვა მოხდა საგნობრივ კათედრებზე. შეფასების რუბრიკების გაცნობა მოსწავლეთათვის ხდება მასწავლებლების მიერ. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება მოსწავლეებთან ერთად ვალიდური ანუ მიზანზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. შეფასების კრიტერიუმის ვალიდურობას მასწავლებელი ამოწმებს სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა, სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური შეფასების სისტემა.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. შეფასების სისტემის მექანიზმების შემუშავებისას სკოლა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები საუბრობენ, რომ სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და ამ მექანიზმების გამოყენების გამოცდილება. სკოლაში დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რის საფუძველზეც ითვალისწინებენ ეფექტურ უკუკავშირს. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე დირექციასთან ერთად ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი და სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული. სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს სასკოლო საზოგადოების ხედვა ამ საკითხთან მიმართებით. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირები თავის ფუნქციებს

ახორციელებენ პრინციპით- რომ შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური,სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. ვერიფიკაციის პროცესში ჩართულია ხარისხის ჯგუფი. იგი ვალდებულია გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება. მოსწავლეები თავად აფასებენ თანაკლასელთა მიღწევების დონეს. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. საბაზო საფეხურზე საგნობრივი კათედრები ინახავენ შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მოსწავლეთა ნამუშევრებსა და სხვა მტკიცებულებებს რეგულაციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მტკიცებულებად წარმოადგინეს ბოლო სამი წლის მოსწავლეთა ნაშრომები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც უზრუნველყოფილია შინაგანაწესით და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი საკითხებით - მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სკოლის არჩევანზე, იყოს მოსწავლის მხარდამჭერი, შექმნას განათლების, კულტურის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების კერა, რათა აღზარდოს ჯანსაღი, კომუნიკაბელური, შემოქმედებითი ცოდნით აღჭურვილი მაძიებელი ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ შრომის ბაზარზე ორიენტირება. სწავლა სწავლების პროცესი მიმდინარეობს კეთილგანწყობილ გარემოში, რასაც ცხადყოფს მასწავლებლების ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე. ეს გამოიხატება ერთობლივად შემუშავებული და მოსწავლის საჭიროებებს მაქსიმალურად მორგებული კურიკულუმებით და ისგ გეგმებით. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ სსსმ მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფაში ჩართულია მთლიანად სასკოლო

საზოგადოება და ზრუნავენ სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მასწავლებლებმა იციან, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია სწავლის სტილით და ინტერესებით, ამიტომ ცდილობენ სწავლის პროცესი დაგეგმონ ისე, რომ მორგებული იყოს ყველა მოსწავლის საჭიროებას. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან გამოავლინონ მოსწავლის საჭიროებები, რათა განავითარონ მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარი და შრომისუნარიანობა, ხელი შეუწყონ აქტიური მოქალაქის ფორმირებას და შექმნან საფუძველები განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეებზე დაკვირვებას და გამოკითხვას, რასაც სწავლა სწავლების პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით მასწავლებელი უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, რათა ისინი აღიჭურვონ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ ჩვევებით. სწავლის პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით, რაზეც მოწმობს მოსწავლეთა თვითმმართველობის განცხადებები. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯ „ჰორიზონტთან“ პროფორიენტაციული ღონისძიებების მიზნით, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს მომავალი პროფესიების არჩევაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში სწავლა სწავლება დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არის პოზიტიური და აქტიური ურთიერთობა და ყველას აზრი გათვალისწინებულია სწავლა სწავლების პროცესის დაგეგმვისას. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე „კრიტიკული მეგობრის“ კუთხით, უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ქიმიის კლუბი - „ქიმია და ყოფა“ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის, სადაც ძირითადად გაწევრიანებულები არიან IX – XI კლასის მოსწავლეები. კლუბის მიზანია სასკოლო პროგრამების მხარდაჭერა, ინტერესის გაზრდა მეცნიერებისადმი, საგანმანათლებლო ბაზის შექმნა, მოსწავლისათვის საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობის მიცემა. კლუბი ხელს უწყობს სხვადასხვა კლასის მოსწავლეების ერთმანეთთან კომუნიკაციას და ურთიერთთანამშრომლობას. სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტ ერთობლივ პროექტს და ინტეგრირებულ გაკვეთილს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად სკოლა გეგმავს მრავალ აქტივობას. ამის დასტურია სოციალური პროექტი „ტრადიციების კვალდაკვალ“, რომლის მიზანი იყო აემაღლებინათ მოსწავლეთა ცნობიერების დონე ტრადიციებთან დაკავშირებით. პროექტის რეფლექსიაში იკითხება, რომ მუშაობის პროცესი იყო დინამიური და მრავალფეროვანი, მათი ინტერესი პროექტის მიმართ იყო ძალიან მაღალი, გაუუმჯობესდათ კომუნიკაციის და თანამშრომლობითი მუშაობის უნარ-

ჩვევები. ეძლეოდათ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. წახალისებული იყო პოზიტიურ გარემოში თანატოლებთან თანამშრომლობისა და პიროვნულ განვითარებაზე მიმართული აქტივობები. აღნიშნული ხელს უწყობს კლასებს შორის თანამშრომლობასა და პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებაზე სკოლისა და კლასის დონეზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შინაგანაწესი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- მოსწავლეთა თვითმმართველობის განცხადებები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- მემორანდუმი კოლეჯ „ჰორიზონტთან“
- ქიმიის კლუბი - „ქიმია და ყოფა“
- სოციალური პროექტი - „ტრადიციების კვალდაკვალ“

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ეხმარება სკოლას კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგსა და შეფასებაში. მონიტორინგისა და შეფასების მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ დაკვირვებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართულია კათედრა, დირექცია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ამ მიზნით სისტემატიურად ხდება გაკვეთილებზე დაკვირვება, ურთიერთ დასწრება და ამის შედეგად მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა. სასწავლო პროცესზე დაკვირვება პედაგოგების მხრიდან აღქმულია , როგორც მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც დაეხმარებათ მათ უკეთესი შედეგების მიღწევაში. მაგალითად, ესთეტიკის კათედრის პედაგოგები ერთმანეთს სისტემატიურად უზიარებენ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებიდან მიღებულ გამოცდილებას და ერთად გეგმავენ ინტერვენციებს შედეგების გასაუმჯობესებლად. მუსიკის მასწავლებელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მან კოლეგებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება 2022/23 სასწავლო წელს განხორციელებული ზოგიერთი კომპლექსური დავალების შესახებ, რომლებშიც ვერ მიიღო სასურველი შედეგი, რადგან თემებმა ვერ გამოიწვია მოსწავლეთა ინტერესი და შესაბამისად, არ მოხდა მოსწავლეთა ჩართულობა. მან კოლეგებისგან მიიღოო უკუკავშირი, რომ უფრო აქტიურად ჩართოს მოსწავლეები კურიკულუმის შემუშავების პროცესში და კომპლექსური დავალებების შეტანაც მათთან შეთანხმებით მოხდეს. პედაგოგებმა მოსწავლეებთან შეთანხმებით, 2023/24 წლის კურიკულუმებში შეარჩიეს ისეთი დავალებები, რომლებიც მოსწავლეებში უფრო მეტ ინტერესს აღძრავენ, რაც სწავლის მოტივაციის გაზრდას შეუწყობს ხელს და შექმნის პირობებს შედეგებზე გასასვლელად. მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით და იმის დასადგენად, თუ რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგები, სკოლა გეგმავს წელიწადში ორჯერ სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტის გამოყენებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პედაგოგებს საშუალებას აძლევს გადახედონ და შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე კოლეგების მიერ განხორციელებული აქტივობები, დააკვირდნენ შედეგებს და განსაზღვრონ, რამდენად შეესაბამება მიღებული დაგეგმილს და რა არის საჭირო უკეთესი შედეგების მისაღებად. კათედრები სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ სასწავლო კომპლექსურ დავალებებს, მსჯელობენ მოსწავლეთა ნამუშევრების დადებით და პრობლემურ მხარეებზე და შედეგების გაუმჯობესების გზებზე. მონიტორინგის პროცესში, კათედრის გარდა, აქტიურად არის ჩართული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც აქტიურად აკვირდება სასწავლო პროცესს და გამოკვეთს პედაგოგთა პროფესიული საჭიროებებს. ამ პროცესში იკვეთება, თუ როგორ უწყობს ხელს გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებით აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების

გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას. მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები ხელს შეუწყობს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. ***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ უფრო ინტენსიურად გამოიყენოს დაკვირვების შემდეგ მასწავლებელთა წერილობითი რეფლექსიის ინსტრუმენტი.*

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა წარმოქნილი პრობლემების გადაჭრის პროცესში. როგორც ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-12 რესურსიდან ჩანს, 2023/24 სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება პედაგოგიურ პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტის, კოლეგების ინტერვიუების, შემაჯამებელი დავალებებისა და თემატური მატრიცის გამოყენებით. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლის ბაზაზე შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ადგენს, თუ რა პრობლემები გამოიკვეთა დაკვირვების პროცესში.

ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მათ ეხმარებათ პრობლემის იდენტიფიცირებაში, მაგალითად, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზგასმით განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება საბაზო საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი კლასები) და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით, დიაგნოსტიკური ტესტებით და ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლა გეგმავს, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტირება, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ შეაფსების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ და განავითაარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრა იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, ზეპირი და წერილობითი კომენტარი, თვითშეფასება და სხვა. მოპოვებული მონაცემების მიხედვით მასწავლებლებს შეუძლიათ დაადგინონ მოსწავლეთა პროგრესი, სუსტი და ძლიერი მხარეები, ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

პედაგოგები მოსწავლეთა შეფასებისას განსაზღვრავენ მიზნებს - რა უნდა შეფასდეს, რა უნდა გამოავლინოს ამ შეფასებამ, როგორ მოხდეს მოსწავლეზე დაკვირვებისას მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეების განსაზღვრა, რომ შემდგომ მოხდეს ამ ფაქტორების გათვალისწინება და არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზებზე მუშაობა. შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამომავლოდ შეფასებისას უფრო მეტად იქნება გამოყენებული კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

1. პედაგოგების ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმში ასახულია სკოლის პრიორიტეტები, გათვალისწინებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხდება მიღებული გამოცდილების გაანალიზება. კურიკულუმს შეიმუშავებს კათედრა მშობლების, მოსწავლეების და დირექტორის ჩართულობით. სკოლას გაცნობიერებული აქვს ის გარემოება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია, რომელიც საჭიროებს მიმდინარე პროცესების შესწავლასა და რეფლექსიას, რაც ხელს შეუწყობს დასახული მიზნების მიღწევას და შედეგების გაუმჯობესებას. ესთეტიკის კათედრის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, პოზიტიურ უკუკავშირს აძლევენ მასწავლებელს, ხარვეზის შემთხვევაში კი ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. მათ აღნიშნეს, რომ ანალიზის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მოიაზრება პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტი, რომელიც დაეხმარებათ მათ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენაში და გადაჭრის გზების მოძიებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ახალი კურიკულუმების შემუშავება მოხდა გასულ სასწავლო წლის ბოლოს, წინა წლის კურიკულუმეის საფუძველზე, წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. მხედველობაში იქნა მიღებული ის პრობლემები, რომლებიც წინა წლის კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა და გათვალისწინებული იქნა წარმატებული პრაქტიკა. მაგალითად, ესთეტიკის კათედრამ, სკოლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა არ დაეფუძნებინა კურიკულუმი კომპლექსურიდან კომპლექსურამდე აგებულ პროცესზე და შემოიფარგლა წელიწადში ორი კომპლექსური დავალებით. ამავე დროს, მუსიკის მასწავლებელმა, კურიკულუმში წინა წლის პრაქტიკაზე დაყრდნობით, კურიკულუმების შემუშავებისას უფრო აქტიურად ჩართო მოსწავლეები მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხის გასაზრდელად და მოტივაციის ამაღლების მიზნით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

2. სასკოლო კურიკულუმი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება -

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

1. სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლაში შემუშავდა საშუალო საფეხურის კურიკულუმების მეთოდოლოგია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. ინტერესის გათვალისწინება მოხდა ზეპირი გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. კურიკულუმი წარმოაჩენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეს პიროვნული განვითარებისათვის. კურიკულუმი ერთი მხრივ წარმოაჩენს სკოლის ტრადიციებსა და პრიორიტეტებს, მეორე მხრივ უზრუნველყოფს შეთანხმებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა წარმატებით მიმდინარეობს, რადგან იზიარებს და მონაწილეობს მის განვითარებაში მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომელიც სასწავლო პროცესის უწყვეტი პროცედურაა. ინტერესის გათვალისწინება ხდება ზეპირი
გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით, გამოცდილების გაზიარებით სასკოლო და რეგიონულ დონეზე. თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად. კურიკულუმში ცვლილება შესაძლებელია მოახდინონ ნებისმიერ დროს, როცა ამის საჭიროებას დაინახავენ.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად მისი(ე.ი. წინა წლის კურიკულუმის)განხორციელების პროცესის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო

აქტივობების განსაზღვრას. შემუშავებაში კათედრის ყველა წევრი ერთვება და თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად; შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის. ასევე შეარჩევენ მექანიზმებს, რომლითაც შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა რომელიმე კათედრის წევრი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლა გამოცდილების შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის კურიკულუმს. მომავლის გეგმებს უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს. გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებები. მაგალითად ელექტრონული ფოსტა, სკოლის სოციალური გვერდი, ელექტრონული ჟურნალი და სხვა. სწორად დაგეგმილი კურიკულუმის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა და მიღწეული შედეგები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- კურიკულუმის ჩარჩო 2023-24 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებები, პროექტებით სწავლება, შესაბამისად, ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. პედაგოგებმა დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინეს საშუალო საფეხურის კურიკულუმები, რომლებიც დაეფუძნება მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. არის მდგრადი და

ორიენტიერებული მოსწავლის კოგნიტურ განვითარებაზე. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრა გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორებიცაა: მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია. კურიკულუმებში გამოიკვეთა, რომ იგეგმება ისეთი კომლექსური დავალებები, როგორებიცაა: ანალიტიკური და არგუმენტირებული ესეს დაწერა, მწერლის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე დაყრდნობით პრეზენტაციიის მომზადება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, როგორც პედაგოგებტან ინტერვიუში გამოიკვეთა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, კურიკულუმში შეთავაზებული კომპლექსური დავალებები. როგორც საშუალო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, ისინი ქმნიან მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს, რათა ყველა მოსწავლე მაქსიმალურად იყოს ჩართული.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლა გეგმავს ეფექტიანი განმავითარებელი შეფასების ფორმებისა და უკუკავშირის მიწოდებას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე: გასულ სასწავლო წლის გამოცდილების ანალიზმა აჩვენა, რომ საშუალო საფეხურის ქარტული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ჯერ კიდევ სჭირდებათ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დიდი ყურადღება ეთმობა სკოლაში განმავითარებელი შეფასების გამოყენებას. საშუალო საფეხურის კათედრის მიერ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი არ არის, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ დაიტოვა შეფასების ძველი სისტემა, გეგმავს ჰოლისტური, შეფასების მექანიზმების განსაზღვრას, სოლო ტაქსონომიის შემუშავებასა და დანერგვას სასწავლო პროცესში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საშუალო საფეხურის პედაგოგებმა წარმოადგინეს საგნობრივი კურიკულუმის პირველადი ვერსიები, რომლებიც წინარე გამოცდილებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეს. ასევე წარმოადგინეს დამატებითი დოკუმენტაციის სახით

შევსებული კურიკულუმები, თუმცა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც დროდადრო გეგმავენ, რათა უკეთესად წარმართონ სასწავლო პროცესი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა საშუალებას აძლევთ დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება, სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება ხდება კათედრაზე წარმოდგენილი ანგარიშების საშუალებით. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღებას ამახვილებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე, მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

კათედრას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები, კათედრის სხდომის ოქმები, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: კათედრის წევრებს აქვთ სწორი ხედვა და დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ პოზიტიური სასკოლო გარემო, მოსწავლის ინიციატივების წახალისება, მოსწავლის ავტონომიურობისა და მიკუთვნებულობის განცდა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწვალის შემოქმედებით პოცესებში ჩართულობისათვის. ამის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი დასამუშავებელი თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები, შერჩეული რესურსები; აგრეთვე, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ისეთი აქტივობების განხორციელებაზე, როგორიცაა სასკოლო-სასწავლო პროექტები, ავთენტური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე არის აქტიური შემმეცნებელი, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; აქვს საშუალება, გადმოსცეს და საკუთრი სიტყვებით ახსნას იდეები და მიგნებები. *ამ ეტაპზე კათედრა გამოხატავს მზადყოფნას 11 კლასის ინგლისური ენისა და 10-11 კლასის რუსული ენის კურიკულუმების შემუშავებასთან დაკავშირებით ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით.* **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მათთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ კათედრა საგნობივ კურიკულუმებს მოიაზრებს და განიხილავს, როგორც მოსწავლის ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამას მოწმობს მათ მიერ საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ახლოსაა მოსწავლის რეალურ

ცხოვრებისეულ კონტექსტებთან და გამოცდილებასთან; საგაკვეთილო პროცესში წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის გამოყენებული შეკითხვები, გონებრივი იერიში, გეზისმიმცემი შეკითხვები ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის და ა. შ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, მისი ინტერესები და ცნობისმოყვარეობა, მსჯელობები გადაწყვეტილების პროცესში მის პოზიციაზე, მათ მიერ შესასრულებელი/შესრულებული დავალებების რეფლექსიაზე (წინმსწრები და შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზები), მოსწავლის ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? რა გაუადვილდება, რა გაუჭირდება, რას აკეთებს/გააკეთებს მიზნის მისაღწევად; რაც გვაძლევს იმისი თქმის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში აცენტები კეთდება სწავლის სწავლაზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

კათედრას მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს; მაგალითად, იქ სადაც შუალედურ მიზნებად მოიაზრება კომპლექსური დავალებები, კურიკულუმებში იერარქიულად გაწერილია, როგორ მიემართება ქვესაკითხები სამიზნე ცნებებისკენ, რომლის პრაქტიკულად განხორციელება გულისხმობს სწორედ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას. მაგალითად, ფაქტობრივი ცოდნის ათვისების შემდეგ ხდება ამ ცოდნის სხვადასხვა სავარჯიშოებში გააქტიურება (მითითებულია რესურსები, სავარჯიშოები) და შემდგომ უკვე ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენება (კომპლექსური დავალებები), რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებას და დასწავლას უწყობს ხელს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კათედრას მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების / ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების კარგ საშუალებად განიხილავს; კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ასეთი დავალებების განხორციელება ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. საშუალო საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკვეთება კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს შევსებული ნაწილები, მეორე მხრივ მასწავლებელთა მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების პროცესისადმი. საშუალო საფეხურის კათედრას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების გამოყენებას სასწავლო პროცესში. დავალებები შეესაბამება სავალდებულო თემებს, თემების შესაბამის საკითხებს და მიემართება სამიზნე ცნებებს. კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს, რომ მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზეა შემუშავებული შეფასების კრიტერიუმებიც. წარმოდგენილმა კურიკულუმებმა აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების და საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

თუმცა, უნდა ღინიშნოს რომ კურიკულუმის საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულება საჭიროებს გადახედვას, რევიზიას და სრულყოფას. კერძოდ, ეს ეხება ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულემებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ მოწოდებულ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, ასევე სოციო-ემოციური სფეროს განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებები ავითარებს მოსწავლეებში

ფსიქო-სოციალურ უნარებს, მნიშვნელოვანია ამ მიმართულების საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირებაც, რაც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ისეთი საგნობრივი კონტექსტებით, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საშულაო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს, იყენებენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებსაც. პედაგოგები სასწავლო წლის მანძილზე შეიმუშავებენ და განავითარებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ჩაატარებენ და გააანალიზებენ დიაგნოსტიკური წერის შედეგებს. აშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ იყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ აღნიშნეს, რომ სასაწავლო პროცესში ისინი ხელს შეუწყობენ მოსწავლეების ჩართვას საკუთარი თავის და ერთმანეთის შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და კრიტერიუმების ნიმუშები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.სკოლის შეფასების სისტემა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებების მიხედვით შედგენილი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების რუბრიკების წარდგენა და განხილვა მოხდა საგნობრივ კათედრებზე. შეფასების რუბრიკების გაცნობა მოსწავლეთათვის ხდება მასწავლებლების მიერ. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება მოსწავლეებთან ერთად ვალიდური ანუ მიზანზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. შეფასების კრიტერიუმის ვალიდურობას მასწავლებელი ამოწმებს სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა, სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური შეფასების სისტემა. *უნდა აღინიშნოს, გასულ სასწავლო წელს ესთეტიკის კათედრამ განახორციელა პროექტული სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, თუმცა არ წარმოუდგენია პროექტების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ან მოსწავლეზე დაკვირვების ბარათები.*

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5.სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტით დგინდება რომ სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის

მექანიზმი. კათედრებზე ამას ახორციელებენ: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციით (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა), შეფასების პროცესის ვერიფიკაცია (შეფასების რუბრიკით მოსწავლის ნამუშევრის ხელმეორედ შეფასება) და მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოს, კომპლექსური დავალებების და სხვა) ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად სიახლეა სკოლაში და დაგეგმილია ახალი სასწავლო წლიდან. სასურველია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმეტში დეტალურად იყოს აღწერილი ვერიფიკაციის პროცესი, ხოლო ვერიფიკაცია მოხდეს არა მხოლოდ შესრულებული შემაჯამებლებისა და კომპლექსური დავალებების, არამედ მაგ: მოსწავლის პორტფოლიოების, გამოფენების და სხვა საფუძველზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

კათედრები ინახავენ შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და სხვა მტკიცებულებებს რეგულაციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მტკიცებულებად წარმოადგინეს ბოლო სამი წლის მოსწავლეთა ნაშრომები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც უზრუნველყოფილია შინაგანაწესით და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი საკითხებით - მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სკოლის არჩევანზე, იყოს მოსწავლის მხარდამჭერი, დაამკვიდროს თანამედროვე სწავლების მიმართულებები, უზრუნველყოს მოსწავლეების აღჭურვა კონკურენტუნარიანი ცოდნით, წაახალისოს მოსწავლის შემოქმედებითი და სამეწარმეო ინიციატივები. აღზარდოს ჯანსაღი, კომუნიკაბელური, შემოქმედებითი ცოდნით აღჭურვილი მაძიებელი ადამიანები. სწავლა სწავლების პროცესი მიმდინარეობს

კეთილგანწყობილ გარემოში, რასაც ცხადყოფს მასწავლებლების ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაცია და ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე. ეს გამოიხატება ერთობლივად შემუშავებული და მოსწავლის საჭიროებებს მაქსიმალურად მორგებული კურიკულუმებით და ისგ გეგმებით. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ სსსმ მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფაში ჩართულია მთლიანად სასკოლო საზოგადოება და ზრუნავენ სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე, სსსმ მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და განხორციელებით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მასწავლებლებმა იციან, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია სწავლის სტილით და ინტერესებით, ამიტომ ცდილობენ სწავლის პროცესი დაგეგმონ ისე, რომ მორგებული იყოს ყველა მოსწავლის საჭიროებას. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან გამოავლინონ მოსწავლის საჭიროებები, რათა განავითარონ მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარი და შრომისუნარიანობა, ხელი შეუწყონ აქტიური მოქალაქის ფორმირებას და შექმნან საფუძველები განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეებზე დაკვირვებას და გამოკითხვას, რასაც სწავლა სწავლების პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით მასწავლებელი უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. სწავლის პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით, რაზეც მოწმობს მოსწავლეთა თვითმმართველობის განცხადებები. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „პატარა მეწარმეები“, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს განსაზღვრული აქტივობების დაგეგმვა - განხორციელება, პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოვლინება, მიღებული ცოდნის ადაპტირება ყოფა-ცხოვრებაში, პრეზენტაბელურობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. კლუბში გაწევრიანებულები არიან X-XI-XII კლასის მოსწავლეები. სკოლაში შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო პროგრამა, სადაც ჩანს, რომ დამრიგებლის ამოსავალი წერტილია მოსწავლეებისათვის ისეთი უნარ-ჩვევების სწავლება, როგორიცაა: პრობლემების გადაჭრა, კონფლიქტების მართვა, გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღება. დოკუმენტში ასევე გაწერილია ლაშქრობის და სასწავლო ექსკურსიების მოწყობა და სკოლის კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა. ასე, რომ სადამრიგებლო პროგრამაში გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში სწავლა სწავლება დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არის პოზიტიური და აქტიური ურთიერთობა და ყველას აზრი გათვალისწინებულია სწავლა სწავლების პროცესის დაგეგმვისას. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე „კრიტიკული მეგობრის“ კუთხით, უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ქიმიის კლუბი - „ქიმია და ყოფა“ საბაზო და საშუალო

საფეხურის მოსწავლეებისათვის, სადაც ძირითადად გაწევრიანებულები არიან IX – XI კლასის მოსწავლეები. კლუბის მიზანია სასკოლო პროგრამების მხარდაჭერა, ინტერესის გაზრდა მეცნიერებისადმი, საგანმანათლებლო ბაზის შექმნა, მოსწავლისათვის საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობის მიცემა. კლუბი ხელს უწყობს სხვადასხვა კლასის მოსწავლეების ერთმანეთთან კომუნიკაციას და ურთიერთთანამშრომლობას. სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტ ერთობლივ პროექტს და ინტეგრირებულ გაკვეთილს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად სკოლა გეგმავს მრავალ აქტივობას. ამის დასტურია სოციალური პროექტი „ტრადიციების კვალდაკვალ“, რომლის მიზანი იყო აემაღლებინათ მოსწავლეთა ცნობიერების დონე ტრადიციებთან დაკავშირებით. პროექტის რეფლექსიაში იკითხება, რომ მუშაობის პროცესი იყო დინამიური და მრავალფეროვანი, მათი ინტერესი პროექტის მიმართ იყო ძალიან მაღალი, გაუუმჯობესდათ კომუნიკაციის და თანამშრომლობითი მუშაობის უნარ-ჩვევები. ეძლეოდათ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. წახალისებული იყო პოზიტიურ გარემოში თანატოლებთან თანამშრომლობისა და პიროვნულ განვითარებაზე მიმართული აქტივობები. აღნიშნული ხელს უწყობს კლასებს შორის თანამშრომლობასა და პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სკოლაში უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნაზე და იციან, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს ზრუნვა დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნაზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შინაგანაწესი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- მოსწავლეთა თვითმმართველობის განცხადებები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- კლუბი - „პატარა მეწარმეები“
- ქიმიის კლუბი - „ქიმია და ყოფა“

- სოციალური პროექტი - „ტრადიციების კვალდაკვალ“
- სადამრიგებლო პროგრამა XI-ე კლასი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ეხმარება სკოლას კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგსა და შეფასებაში. მონიტორინგისა და შეფასების მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ დაკვირვებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართულია კათედრა, დირექცია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ამ მიზნით სისტემატიურად ხდება გაკვეთილებზე დაკვირვება, ურთიერთ დასწრება და ამის შედეგად მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა. სასწავლო პროცესზე დაკვირვება პედაგოგების მხრიდან აღქმულია, როგორც მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც დაეხმარებათ მათ უკეთესი შედეგების მიღწევაში. 2022/23 სასწავლო წელს ესთეტიკის კათედრაზე პირველად განხორციელდა პროექტული სწავლება (სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში), რასაც კათედრა დიდი ინტერესით აკვირდებოდა და სისტემატიურად ხდებოდა პროექტის ეტაპებიდან მიღებულ გამოცდილების გაზიარება, რის

შემდეგაც ერთად იგეგმებოდა ინტერვენციები შედეგების გასაუმჯობესებლად. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ამ ტიპის სწავლება განხორციელდება 2023/24 სასწავლო წელს ხელოვნებაშიც და მუსიკაშიც. მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით პროექტების შერჩევა ხდება მოსწავლეების აქტიური ჩართულობით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პედაგოგებს საშუალებას აძლევს გადახედონ და შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე კოლეგების მიერ განხორციელებული აქტივობები, დააკვირდნენ შედეგებს და განსაზღვრონ, რამდენად შეესაბამება მიღებული დაგეგმილს და რა არის საჭირო უკეთესი შედეგების მისაღებად. კათედრები სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ პროექტებზე მუშაობის პროცესს, მსჯელობენ მოსწავლეთა ნამუშევრების დადებით და პრობლემურ მხარეებზე და შედეგების გაუმჯობესების გზებზე. მონიტორინგის პროცესში, კათედრის გარდა, აქტიურად არის ჩართული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც აქტიურად აკვირდება სასწავლო პროცესს და გამოკვეთს პედაგოგთა პროფესიული საჭიროებებს. ამ პროცესში იკვეთება, თუ როგორ უწყობს ხელს გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებით აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას. მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები ხელს შეუწყობს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. ***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ უფრო ინტენსიურად გამოიყენოს დაკვირვების შემდეგ მასწავლებელთა წერილობითი რეფლექსიის ინსტრუმენტი.*

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა წარმოქნილი პრობლემების გადაჭრის პროცესში. როგორც ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-12 რესურსიდან ჩანს, 2023/24 სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება პედაგოგიურ პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტის, კოლეგების ინტერვიუებისა და თემატური მატრიცის გამოყენებით. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლის ბაზაზე შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ადგენს, თუ რა პრობლემები გამოიკვეთა დაკვირვების პროცესში.

ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მათ ეხმარებათ პრობლემის იდენტიფიცირებაში, მაგალითად, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება პროექტზე მუშაობის პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზგასმით განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება საშუალო საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით, დიაგნოსტიკური ტესტებით და ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლა გეგმავს, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტირება, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ შეაფსების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ და განავითაარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრა იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, ზეპირი და წერილობითი კომენტარი, თვითშეფასება და სხვა. მოპოვებული მონაცემების მიხედვით მასწავლებლებს შეუძლიათ დაადგინონ მოსწავლეთა პროგრესი, სუსტი და ძლიერი მხარეები, ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. აღნიშნულიდან გაგმომდინარე,

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

პედაგოგები მოსწავლეთა შეფასებისას განსაზღვრავენ მიზნებს - რა უნდა შეფასდეს, რა უნდა გამოავლინოს ამ შეფასებამ, როგორ მოხდეს მოსწავლეზე დაკვირვებისას მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეების განსაზღვრა, რომ შემდგომ მოხდეს ამ ფაქტორების გათვალისწინება და არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზებზე მუშაობა. შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამომავლოდ შეფასებისას უფრო მეტად იქნება გამოყენებული კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

Სკოლის თვითშეფასების ფორმა
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

1. პედაგოგების ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმში ასახულია სკოლის პრიორიტეტები, გათვალისწინებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ხდება მიღებული გამოცდილების გაანალიზება. კურიკულუმს შეიმუშავებს

კათედრა მშობლების, მოსწავლეების და დირექტორის ჩართულობით. სკოლას გაცნობიერებული აქვს ის გარემოება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია, რომელიც საჭიროებს მიმდინარე პროცესების შესწავლასა და რეფლექსიას, რაც ხელს შეუწყობს დასახული მიზნების მიღწევას და შედეგების გაუმჯობესებას. ესთეტიკის კათედრის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, პოზიტიურ უკუკავშირს აძლევენ მასწავლებელს, ხარვეზის შემთხვევაში კი ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. მათ აღნიშნეს, რომ ანალიზის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მოიაზრება პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტი, რომელიც დაეხმარებათ მათ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენაში და გადაჭრის გზების მოძიებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ახალი კურიკულუმების შემუშავება მოხდა გასულ სასწავლო წლის ბოლოს, წინა წლის კურიკულუმეის საფუძველზე, წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. მხედველობაში იქნა მიღებული ის პრობლემები, რომლებიც წინა წლის კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა და გათვალისწინებული იქნა წარმატებული პრაქტიკა. მაგალითად, ესთეტიკის კათედრამ, სკოლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა მე-10 კლასში პროექტული სწავლება განეხორციელებინა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პირველ სემესტრში განხორციელებულმა პროექტმა "კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია - საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტები მშობლიური რეგიონის წარსულისა და აწმყოს შესახებ. ასეთივე პრაქტიკა განხორციელდება მიმდინარე სასწავლო წელსაც.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი: 1 დეკემბერი, 2023 წელი